სპორტიელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სპორტული გაზეთი ორშაბათი 28 ივნისი 2004 №146 (2167) ფასი 50 თეთრი

ჩეხია

ბრუჟნელმა დანია



ჩეხეთი	27 ივნისი	დანია
3	მეოთხედფინალი პორტუ. დრაგაუ	0

1:0 კოლერი (49), 2:0, 3:0 ბაროში (63, 65)

ჩეხეთი: 1 ჩეხი; 21 უიფალუში, 5 ბოლფი, 13 ჟირანეკი, 6 იანკულოვსკი; 4 გალაშეკი; 8 პოზორსკი, 11 ნედვედი; 10 როსიცკი; 15 ბაროში, 9 კოლერი

მწვრთნელი: კარელ ბრუკნერი

შეცვლა: ჟირანეკი — 2 გრიგერა (39), ბოლფი — 22 როზენალი (65), ბაროში — 18 ჰაინცი (70)

დანია: 1 სორენსენი; 4 ლაურსენი, 3 ჰენრიკსენი, 6 ჰელვეგი, 2 ბოგელუნდი; 17 პოულსენი, 14 კ. იენსენი, 7 გრავესენი; 8 გრონკიაერი, 10 იორგენსენი; 9 ტომასონი

მწვრთნელი: მორტენ ოლსენი

შეცვლა: კ. იენსენი — 21 მადსენი (71), გრონკიაერი — 19 რომედალი (77), იორგენსენი — 23 ლოვენკრანდსი (85)

გაფრთხილება: იანკულოვსკი (10), უიფალუში (45), პოულსენი (52), ბოგელუნდი (56), გრავესენი (77)
მსაჯი: ვალენტინ ივანოვი (რუსეთი). 41 092 მაყურებელი

ჯარიმა: 24-19; კუთხური: 7-4; კარისკენ დარტყმა: 13-11; კარში დარტყმა: 5-1; თამაშგარე: 2-2

კარელ ბრუკნერი

ნახევარფინალში გასვლას წარმატებად ვთვლი, დღეს ჯგუფური ეტაპის მატჩებისგან განსხვავებულად ვითამაშეთ, რადგან ეს პლეი ოფია, სადაც სამოთხე ან ჯოჯოხეთი გელის.



მორტენ ოლსენი

ვფიქრობ, პირველ ტაიმში ვჯობდით მეტოქეს, უბრალოდ, შექმნილი მომენტები ვერ გამოვიყენეთ. ჩეხებს კი მთელ შეხვედრაში ოთხად ოთხი შესაძლებლობა ჰქონდათ.

კაპუნა კედია

ა, რას ამბობდა ამ მატჩის წინ ჩეხეთის ნაკრების მწვრთნელი კარელ ბრუკნერი: „მიუხედავად იმისა, რომ წინა სამი შეხვედრა მოვიგეთ, ის, რაც ახლა იწყება, ჯგუფური ეტაპისგან ძალიან განსხვავებულია. პლეი ოფს სრულიად სხვა ბუნება აქვს და ამიტომაც იგი უნდა მოვიგოთ, როგორც საკუთარი ძალების ხელახლა დამტკიცების შანსი“.

დანიელი ვარსკვლავის, იესპერ გრონკიაერის მოსაზრება კი ასეთი გახლდათ: „ვინ ითვლება ფავორიტად თამაშის წინ, არანაირი მნიშვნელობა არ აქვს. შეხვედრა 90 წუთს გრძელდება, ხოლო ამ ჩემპიონატმა ბევრი გაწბილებული ფავორიტი გვანახა. დღეს ჩვენ ნახევარფინალთან ახლოს ვართ და მეტიც, ძალიან მინდა, ოთხ ივლისს ფინალში ვითამაშო“.

მარტივი და ორი რთული

მილან ბაროშის რთული და ლამაზი გოლი

მაგრამ გრონკიაერს ოცნება არ აუხდა — ნახევარფინალში ჩეხები გავიდნენ, მათ შთამბეჭდავი ანგარიშით, 3:0 აჯობეს დანიელებს. აღსანიშნავია, რომ გრონკიაერის გუნდს პირველი უსიამოვნება მატჩამდე შეხვდა: თავდამსხმელი ებე სანდი დაშავდა, ხოლო მის ნაცვლად თერთმეტ კაცში ნახევარმცველი კლაუს იენსენი მოხვდა. უფრო ზუსტად, იენსენმა მოედნის შუაში დაიკავა ადგილი, თავდასხმაში კი იონ დალ ტომასონი გადავიდა.

ცვლილება იყო ჩეხთა შემადგენლობაშიც. კერძოდ, მარჯვენა მცველის პოზიცია ზდენეკ გრიგერას ნაცვლად მარტინ ჟირანეკმა გაამაგრა, დაცვის ცენტრში კი რენე ბოლფი დაბრუნდა.

და კიდევ ერთი: ამ მატჩის კარგად ჩატარება ძალიან სჭირდებოდა რუს მსაჯ ვალენტინ ივანოვს, რომელსაც საფინალოდ ამზადებენ. ვფიქრობთ, ივანოვს ცუდი არაფერი გაუკეთებია.

პირველი საინტერესო მომენტი მე-4 წუთზე პაველ ნედვედმა შექმნა, როდესაც თომას სორენსენმა ახლო კუთხესთან აულო, ხოლო სამი წუთის შემდეგ ჩეხმა ერთხელაც სცადა ბედი, მაგრამ ამჯერად კასპერ ბოგელუნდი ჩაუწვა. მე-14 წუთზე ტომაშ გალაშეკმა 25 მეტრიდან აცილა, მე-16-ზე კი ტომასონმა გალაშეკი ჩამოიტოვა და გათამაშდა კომბინაცია იორგენსენის, გრავესენის და პოულსენის მონაწილეობით, რომელიც კბილიანი კი იყო, მაგრამ უკბილოდ დასრულდა.

აქ ნახევარ და მეოთხედმომენტების აღწერით რომ არ გადაგღალოთ, უბრალოდ გეტყვით, რომ შესვენებამდე თამაში ძირითადად სწრაფად, მაგრამ საგანგებო გამწვავების გარეშე მიმდინარეობდა. თუმცა იყო ერთი-ორი სათქმელი და აღსანიშნავიც. კერძოდ, ჟირანეკის ტრავმა და ჩეხთა იძულებითი ცვლილება პირველსავე ტაიმში — მის მაგივრად გრიგერა შემოვიდა, ანდა, კარელ პობორსკის გავარდნა და ჩაკიდება, ბურთი ზემოდან რომ დაეცა ძელს.

მეორე ტაიმში კი ტემპი ტემპად მაღალი დარჩა და პლუს სამი გოლიც შევარდა. პირველი გოლი იან კოლერისა იყო — ორ მეტრიან და ზედაც ორსანტიმეტრიან გოლიათს კუთხურიდან მაღალი ბურთი ჩააწოდეს და მანაც მარტივი, ღონიერი და ლამაზი თავურით გახსნა ანგარიში. ეს 43-ე წუთის ამბავი იყო, ხოლო 63-ზე მილან ბაროშმა კიდევ ერთი გაუტანა მოწინააღმდეგეს. ეს აღარ იყო მარტივი, მაგრამ იყო ძალიან ლამაზი მომენტი, პობორსკის პასით მეკარესთან პირისპირ შესულმა ბაროშმა უტექნიკურესად, თან დიდ სისწრაფეზე აჰკრა ბურთს და სორენსენს თავზე გადაავლო.

მესამე ჩეხებმა 65-ე წუთზე შეაგდეს, ეს კვლავ არ იყო მარტივი, მაგრამ კვლავ ძალიან ლამაზი იყო, რადგან ყველაფერი ისევ სწრაფად და დინამიკურად მოხდა. თავდამსხელს მოედნის სიღრმიდან მეტოქის კარისკენ ბურთი შეუყოლიეს, ხოლო მან მარცხენა ფეხით ტექნიკურად და ღონივრად დაჰკრა.

ამის შემდეგ უპირატესობა — როგორც ლოგიკითაც უნდა მომხდარიყო — დანიელებისკენ გადავიდა, მაგრამ მათ მცდელობას გოლი არ მოუტანია.

და ბოლოს, შეხვედრას ბერძნების მწვრთნელი, ოტო რეჰაგელი ესწრებოდა. ჩეხები ნახევარფინალში სწორედ საბერძნეთს ხვდებიან.



დანიამ იან კოლერთან და ჩეხეთთან რქები წაიტეხა

ეროვნული ბიბლიოთეკა

26 ივნისი მეოთხედფინალი. ფარუ. ალგარვე

შვედეთი 0:0 დ.დ.(პენ. 4:5) ჰოლანდია

მსაჯი: ლუბოშ მიხელი (სლოვაკეთი). 27 762 მაყურებელი

პენალტები:
1:0 კალსტრიომი, 1:1 ვან ნისტელროი, 2:1 ლარსონი, 2:2 ჰეიტინგა, 2:2 იბრაჰიმოვიჩი (აცილა), 2:3 რაიციგერი, 3:3 ლიუნგბერგი, 3:3 კოკუ (ძელი), 4:3 ვილჰელმსონი, 4:4 მაკაი, 4:4 მელბერგი (მეკარე), 4:5 რობენი

1 ისაკსონი
3 მელბერგი, 15 იაკობსონი
14 ოსტლუნდი, 7 ნილსონი
6 ლინდეროტი
18 იონსონი, 9 ლიუნგბერგი
8 სვენსონი
10 იბრაჰიმოვიჩი, 11 ლარსონი

მწვრთნელები: ტომი სოდერბერგი და ლარს ლაგერბეკი

შეცვლა
იონსონი — 21 ვილჰელმსონი (64),
სვენსონი — 16 კალსტრიომი (81)

1 ვან დერ სარი
3 სტამი, 15 ფ. დე ბური
2 რაიციგერი, 5 ვან ბრონკჰორსტი
6 კოკუ
20 ზეედორფი, 8 დავიდსი
7 ვან დერ მეიდე, 19 რობენი
10 ვან ნისტელროი

მწვრთნელი: დიკ ადვოკაატი

შეცვლა
დე ბური — 4 ბუმა (35), დავიდსი — 18 ჰეიტინგა (61),
ვან დერ მეიდე — 12 მაკაი (87)

გაფრთხილება: დე ბური (30), ვან დერ მეიდე (48), იბრაჰიმოვიჩი (58), ოსტლუნდი (88), მაკაი (116)

ჯარიმა: 23-29; კუთხური: 5-10; კარისკენ დარტყმა: 8-10; კარში დარტყმა: 10-14; თამაშგარე: 6-3

ედვინ ვან დერ სარის ფეხ-ბურთი

REUTERS

მიტკლისფერი ნარინჯისფერები

სტამმა ზლატანი საშლელით წაშალა

პაატა კვანტალიანი

რას ველოდით შვედეთ-ჰოლანდიის მატჩისგან? პირველ რიგში ალბათ უხვგოლიან, სანახაობრივ თამაშს. შვედეთს და ჰოლანდიას ჯგუფურ სამ მატჩში, შესაბამისად, 8 და 6 გოლი ჰქონდათ გატანილი. თანაც ორივე ნაკრები შემტევია და შემსრულებლებიც ხომ სულ ვარსკვლავებს ეთამაშებოდნენ: აქეთ ლიუნგბერგი, ლარსონი და იბრაჰიმოვიჩი, იქით — ვან ნისტელროი, რობენი, ვან დერ მეიდე... მოკლედ, მოლოდინი არ გამართლდა, მთლიანობაში თითებზე ჩამოსათვლელი ნახევარმომენტების 90-წუთეული გამოვიდა, მართლა საგოლე მომენტებით მთლიანად რომ გადასწონა დამატებითმა დრომ.

მაგრამ, ის კი მოსალოდნელი იყო, რომ თანაბარი, ერთმანეთის შეცდომებზე ჩასაფრებულთა თამაში იქნებოდა. დებიუტშივე ეტყობოდა ორივე გუნდს, რომ მათთვის უფრო მეტი საზრუნავი გოლის არგაშვება გახლდათ და ამ მხრივ, შვედეთმა და ჰოლანდიამ წარმატებით გადაჭრეს ამოცანა. თუმც უგოლოდ ვერ დამთავრდებოდა ეს თამაში, რაკილა ერთ-ერთს სანახევარფინალო გზა უნდა გაეგრძელებინა და საფეხბურთო რულეტკაც დატრიალდა... ერთი უნდა დახვრეტილიყო და ის ერთი შვედეთი აღმოჩნდა.

აქ კი ცოტა ხნით ისტორიას უნდა გადავწვდეთ. როცა ჯერი პენალტებზე მიდგა, ჰოლანდიელები გაფითრებულნი ემზადებოდნენ საფეხბურთო ლატარიისთვის. ჰოლანდია ხომ აქამდე მუდმივი უიღბლო იყო პენალტებში. რომელი ერთი გავიხსენოთ... 1992 წელს ევროპის ჩემპიონატზე დანიელებმა ნახევარფინალში მოუგვარეს საქმე პენალტებით „ნარინჯისფერებს“. ტიტებისქვეყნელები მომავალ ევროზეც გაწბილდნენ ინგლისში და ორი წლის შემდეგ ფრანგულ მუნდიალზე ბრაზილიასთანაც წაიქცნენ პენალტებში, ამას შინაურ კედლებში იტალიაში პენალტებშივე წაგება დავუმატოთ ბენილუქსურ ევროზე და ნათელი გახდება, თუ რატომ ედოთ მიტკლისფერი ჰოლანდიელებს შვედებთან 120 წუთიანი ომის შემდეგ... მაგრამ ოდესღაც ხომ ყველაფერი მთავრდება და საპენალტო უიღბლობა შაბათს ჰოლანდიელებმა ყვითლების სევდას გაატანეს. ჰოლანდიამ ნავსი გატეხა, ჰოლანდია ნახევარფინალშია და ეგებ ფინალის ტოლფასი თამაშიც ელის მასპინძელ პორტუგალიასთან.

ცოტა რამ თავად მატჩზეც ვთქვათ... 25-ე წუთამდე შვედებმა მხოლოდ ის მოახერხეს, რომ მეკარე ვან დერ სარი და კაპიტანი დე ბური დაამტვრიეს, ეს უკანასკნელი ცოტა ხანში შესაცვლელიც გახდა. არც ჰოლანდიელები წყვეტდნენ ვარსკვლავებს, მაგრამ რობენის და ვან დერ მეიდეს ინსაიდური ჩაუქობით გულმოცემულ ვან ნისტელროის არეულობა მაინც შეჰქონდა შვედთა დაცვაში. ცალკე აღნიშვნის ღირსია რობენის თამაში. ამ ბიჭს ეტყობა, რომ შორს წასვლა აქვს გადაწყვეტილი და წავა კიდეც. რობენი ამ ჩემპიონატის ერთ-ერთ აღმოჩენად შეიძლება ჩაითვალოს და ნუ დაგვავიწყდება, რომ ჰოლანდიელებს წინ·ნახევარფინალი აქვთ და ვინ იცის, ეგებ ფინალიც.

შვედებს პირველ ტაიმში, ფაქტობრივად, დაკარგული ჰყავდთ ზლატან იბრაჰიმოვიჩი, რომელიც თითქოს საშლელით წაშალა სტამმა ჰოლანდიელთა საჯარიმოში. იბრაჰიმოვიჩი, როცა თავისებურად ამოძრავდა, მეორე ტაიმი იყო, იქამდე ჰოლანდიელებს ერთი-ორჯერ ანერვიულებული ჰყავდათ შორეული დარტყმებით მეკარე ისაკსონი, იბრაჰიმოვიჩის გამოფხიზლება კი ლამის გოლით დამთავრდა — სტამმა კარგი საჩუქარი გაუკეთა კარიდან ექვსიოდე მეტრში დარჩენილ ზლატანს, მაგრამ ამის დარტყმული ბურთი კოკუმ გამოიტანა კარის ხაზიდან. ეს იყო და ნისტელროი დარჩა საგოლე სიტუაციაში, მაგრამ ისაკსონს ვერ აჯობა. იქამდე კი დიკ ადვოკაატი დაფრთხა და დავიდსის ნაცვლად მცველი ჯონი ჰეიტინგა შეუშვა მოედანზე.

დამატებითში შვედებმა ორჯერ გლიჯეს ძელ-ხარიხას ბურთი, „ნარინჯისფერთა“ ფანებმა ორჯერ ამოისუნთქეს შვებით და რულეტკაც დატრიალდა... ჰოლანდია ნახევარფინალშია.

REUTERS

ზლატან იბრაჰიმოვიჩმა ბურთი და ნახევარფინალი კარს გადააცილა

სამი თამაშის წინ



გიო ახვლედიანი
პორტუგალიიდან

აჰა, მგონი წავიდა ბოლოსკენ ეს ევროპის ჩემპიონატი. სამი თამაშიღა დარჩა და იმის მიუხედავად, რომ ეს ყველაზე მნიშვნელოვანი სამი თამაშია, დასასრული მაინც თვალწინაა.

მე კიდევ აი, რა ვიფიქრე: მგონი, ფეხბურთზე ცოტას ვლაპარაკობდი ამ წერილებში, პორტუგალიის სხვადასხვა ქალაქიდან რომ გიგზავნიდით. უფრო სწორად, იშვიათად ჩავუკირკიტებდი ხოლმე საკუთრივ თამაშს და ტაქტიკის, სტრატეგიის და ასეთი რამეების რაობას.

ეგებ ასე იყო, მაგრამ თუ დამიჯერებთ, მე მაინც ვუყურებდი თამაშებს და ფეხბურთიც უფრო მთლიანობაში მიყვარს, ვიდრე თამაშის გამო. როცა ამ ჩემპიონატს ვუცქერდი, მივხვდი, რომ ფეხბურთი მშვენიერია და ერთი სულ უბრალო, თუმცა ნამდვილი თამაში ყოველთვის გადაწონის ათას ჩაწყობილ თამაშს, თუმცა, ეს ჩაწყობილი თამაშები მე პირადად ვერსად აღმოვაჩინე. საერთოდ კი, ფეხბურთს სულ ცოტა რამ სჭირდება, რომ ადამიანთა გულები დაიპყროს, რადგან მას რამდენიმე წესი აქვს მინდორზეც და მის გარეთაც და თუ წესებიდან თუნდაც ორს იცავ, შენ აუცილებლად შეუყვარდები უბრალო კაცს, რომელიც ხშირად დედაწულიანად დაძრულა თავისი ქვეყნიდან, რათა დაგეხმაროს, გაგამხნევოს, თავისი საყვარელი კლუბისა და მშობლიური ქვეყნის სახელის ძახილით მხარში ამოგიდგეს და სიხარულიცა და დარდიც შენთან ერთად გაიზიაროს.

მოკლედ, სამი თამაშიღა დარჩა გასამართი და მგონი, ვინც არის ნახევარფინალში, ის უნდა იყოს. ყოველ შემთხვევაში, აქ არიან ჩემპიონატისთვის ყველაზე უკეთ მზადმყოფი გუნდები, თუმცა, ერთი გამონაკლისი დასაშვებია და გამონაკლისიც მხოლოდ წესს ადასტურებს.

ეჰ, ბევრი რამ ვნახე ამ მინდვრებზე და მათ შორიახლო. მაგალითად, ვიცი, რომ ოლი კანი ყველაზე ადრე, სულ პირველი გამოდის მოთელვაზე და პირდაპირ გულშემატკივრების დაქოქვით იწყებს. ედვინ ვან დერ სარიც პირველი გამოდის ხოლმე, ოღონდ, წყნარად. გუშინ მაგალითად, მდინარე დურუს პირად, იქ სადაც ირწევიან ძველებური ნავები, რესტორანში მოიყვანეს რამდენიმე მსაჯი, იმათ შორის კი ურს მაიერი და რუსი ივანოვი, ვინც ფრანც ბეკენბაუერის კრიტიკის მიუხედავად იტალია — ბულგარეთის თამაშის შემდეგ, მაინც ჩაითვალა ჩემპიონატის ერთ-ერთ საუკეთესო მსაჯად. ურს მაიერი კი იოლად იცნეს იქ შეყრილმა უბრალო პორტუელებმა და დიდის მოწიწებით ართმევდნენ ხელს და ობრიგადას ეუბნებოდნენ, ანუ მადლობთო. ალბათ, იმის გამო, რომ სოლ კემპბელის გოლი არ ჩათვალა მეოთხედფინალში. მე ასევე ვნახე მანოლო თავისი დოლით, სევდიანი და დაქანცული რომ მოდიოდა ქუჩაზე, ბოლო ხუთ დღეს კი ტელევიზორის ჩართვისა მეშინია, რადგან იქ არავინ და არაფერია რიკარდუს მეტი.

ადრეც მოგახსენებდით, რიკარდუ მთავარ გმირად იქცა მეთქი, მაგრამ კაცის ქების ამბავი პორტუგალიელებს სულ ოდნავ, მაგრამ მაინც ქართველებივით სცოდნიათ: რიკარდუ ბავშვობაში და რიკარდუ ბავშვით, რიკარდუ წელზევით შიშველი და რიკარდუ მიკროფონებთან. ყველა კლიპი, ყველა გადაცემა რიკარდუთი იწყება და რიკარდუთი მთავრდება. იმასაც არ ეზარება და ამ ცხელ გულზე სიმღერაც ჩაწერა მოტიტინე ნორჩებთან ერთად. ვინ ოხერი, დაიმსახურა კაცმა, მაგრამ ხომ იცით, ნამეტანი არაფერი ვარგა. ბარემ აქვე მოგახსენებთ, რომ ჩემპიონატის ყველაზე პოპულარულ კლიპში უკვე მოხვდა ის ქართველი გულშემატკივარი, რომელიც იტალიელებს ქომაგობდა, სახე კი ჩვენებური ხუთი ჯვრით მოეხატა.



კლიპები იქეთ იყოს და, ინგლისის ზარალს გადავწვდეთ. ნაკრების გავარდნით განსაკუთრებით იზარალა ქვეყნის ლუდის წარმოებამ. ჩემპიონატის აქტიური ცქერის დღეებში ინგლისში თორმეტი მილიონი გირვანქით მეტი ლუდი ისმეოდა, ათდღიანი ზარალი კი 400 მილიონ გირვანქას მოიცავს. ინგლისური ღიპი მოაკლდა პორტუგალიას, თუმცა ამათ ჯერ არ გამოუქვეყნებიათ ზარალის შედეგები. ევროპის ჩემპიონატის მასპინძლები იმგვარ მოგებაში გახლავან, რომ ამ მოგებას მოკლებული ფულის დათვლა სულაც არ დაუწყიათ. საერთოდ კი, რა გაგაოცებს პორტუგალიაში და ზეიმთა სიმრავლე. ეს განსაკუთრებით თვალშისაცემი იყო წინა კვირაში, როცა პორტუგალია — ინგლისის მეოთხედფინალი საგანგებოდ იყო დამთხვეული საო ჟოაოს (ჩვენებურად იოანობა ღამის) დღესასწაულს და ქვეყანამ იმგვარი მოლხენა გასწია ორი ღამის განმავლობაში, რომ თქვენი მოწონებული. აქაური დღესასწაულები მეტად კეთილია და გალეშვასა და გრიალს არ გულისხმობს, თუმცა, ყოველ უბანს თავისი დღეც აქვს და პორტუში მობრუნებულმა აღმოვაჩინე, რომ შაბათ ღამით, ჩემი უბნის დღესასწაული ყოფილა გახურებული და მაშხალები და სალუტი არც ამისთვის დაუკლიათ.

ერთი რამ კიდევ, რაც დავინახე, ის იყო, რომ მადრიდის „რეალის" ვარსკვლავები მინდორს არ აჩნდნენ, ასე გამოვიდა. ყველაზე მეტს ლუიშ ფიგუ დარბის, ყველაზე მონდომებული მადრიდელთაგან ის გახლავთ, ოღონდაც მაინც ვერ იტყვი, რომ სწორედ ის არის პორტუგალიელთა ნამდვილი ლიდერი და პორტუგალიის ნაკრები მასზე ჰკიდია. დანარჩენმა „გალაქტიკოსებმა" რა ფეხბურთიც აჩვენეს, თავად ნახეთ. შინ ჩასულ დევიდ ბექემს თავის მართლებამაც მოუწია, კომერციული საქმიანობა სულაც არ მიშლის ხელს ფეხბურთის თამაშშიო. ჯერჯერობით ვინ დაუჯერებს, მან ხომ საზიზღრად ითამაშა. მანამდე არ მოვისვენებ, სანამ არ დაგიმტკიცებთ, რომ ეს ჩავარდნა საფეხბურთო იყო და არა, მინდორსგარეთა ამბებით გამოწვეულიო.

მე თუ მკითხავთ, ამ ჩემპიონატის ბედი პირველივე ტურში ნათამაშებმა ორმა თამაშმა განსაზღვრა.

როცა საბერძნეთმა პორტუგალიას გახსნის თამაში მოუგო, ყველა ერთხმად იძახდა: ნერვოს, ნერვოს, ანუ მასპინძლები ნერვიულობენო, თუმცა ბერძენთა გამარჯვება მთლად ნერვოს არ გამოდგა.

მე ვამბობ, მწყდება გული, რომ ახლა ზუსტად ვიცი, ორი წლის წინათ, შეიძლებოდა ოფი რეჰაგელი საქართველოს ნაკრების მწვრთნელი გამხდარიყო. ეს ზუსტად ვიცი და თვითონაც მოწადინებული იყო. მერე ის ელადაში წავიდა, სადაც, სიმართლე რომ გითხრათ, მგონი უკვე ოლიმპოს მთაზე ზის იქაური ღმერთების გვერდით, ვინაიდან ყოველი ბერძენი, რიგითი გულშემატკივარი იქნება თუ ავტორიტეტული ჟურნალისტი, ლაპარაკს ერთიდაიგივე ფრაზით იწყებს — როგორც ოტო რეჰაგელმა თქვა... და ასე შემდეგ. საბერძნეთი გუნდია. ეგებ მას ბუნდესლიგური იერიც ჰქონდეს, მაგრამ საბერძნეთი ნამდვილი და კარგი გუნდია და იმ იშვიათთაგან, მზად რომ შეხვდა ევროპის ჩემპიონატს, ხოლო ბერძენთა კაპიტანი ზაგორაკისი საერთოდ საუცხოო ფეხბურთელია.

მეორე თამაში, რომელმაც ამ ჩემპიონატის ბედი განსაზღვრა, ინგლის — საფრანგეთი იყო. ამ თამაშებში ზინედინ ზიდანმა შექმნა უდიდესი ილუზია, რომ საფრანგეთს ძლიერი გუნდი ჰყავს. ამ თამაშის ბოლო სამ წუთში ზიზუმ ორჯერ დაარტყა გაჩერებულ ბურთს: ერთხელ ცოტა შორიდან და მეორედ მთლად ახლოდან და შექმნა ჩემპიონატის უდიდესი ილუზია. ეს ილუზია იმდენად ძლიერი იყო, რომ კრიტიკის მიუხედავად, ფრანგები მაინც ითვლებოდნენ ჩემპიონობის პრეტენდენტებად, სინამდვილეში კი ეს იყო მოქანცული, მოხუცი გუნდი, რომელიც წვალობდა ხორვატებთან, შვეიცარიელებთან და პირდაპირ იტანჯებოდა ბერძნებთან თამაშში. საფრანგეთი იტანჯებოდა ინგლისთანაც. საუკეთესო, რაზეც იოცნებებდა, ფრე იყო, მაგრამ, ზიზუმ შექმნა ილუზია, რომ ფრანგებს შეუძლიათ.

ფრანგებს ბევრი არაფერი შეეძლოთ. მათ იტალიელებიც სჯობდნენ ნამდვილად. მაგრამ დიდი მოთამაშენი ამიტომაც არიან დიდი მოთამაშენი, რომ თუ მთლიანად გუნდს ვერ გაუძღვებიან და ნამდვილ და საუკეთესო თამაშს ვერ გაახურებენ, შეუძლიათ ილუზია შექმნან. ზიდანმაც მოახერხა ეს ამბავი. ილუზია იმდენად ძლიერი იყო, რომ ფრანგული პრესის კრიტიკულმა სიტყვებმაც კი არ დაიგვიანა. საერთოდ კი, ის საფრანგეთი, ის დიდი საფრანგეთი დამთავრდა. ახალი კი როგორი იქნება, ვინ იცის.

ჰა, სამი თამაშიღა დარჩა.

და რაც მთავარია, ისევ გვარიანად ჩამოცხა. პორტუგალია კი კვირისთვის კიდევ ერთი ზეიმისთვის ემზადება. ვნახოთ, რას იზამს კაცი, რომელსაც ფეხბურთელები დიდად არც უჯერებენ. დიკ ადვოკაატს ვგულისხმობ.

EURONEWS

მე მაინც დავვარტყამდი

ჰოლანდიას ტყუპისცალი დაეკარგება

გუშინწინ ამსტერდამი და ჰოლანდიის სხვა ქალაქები ნარინჯისფრად შეიღება. შვედეთთან მოგების შემდეგ ხალხი ქუჩებს შეერწყა და დიდად მოილხინა. დედაქალაქში ფანები ავტომობილებს დააქროლებდნენ და ჩეხებთან მარცხი აღარავის ახსოვდა

ფრანკ დე ბური: მამაშვილური სიხარული ნაშვედებს

„ეს დაუჯერებელია. დიდებული მატჩი იყო ბრწყინვალე დასასრულით. ჩვენი გუნდი ფანტასტიკურია. ყველამ გადასარევად ითამაშა და მთელი ქვეყანა თავისი ნაკრებით ამაყობს“ — თქვა 32 წლის მულდერმა.

„სასწაული მოხდა — ჰოლანდიამ პენალტებით მოიგო — აღმოხდა ყვავილების გამყიდველ ჰენკ დეკერს — აქამდე სამჯერ არ გაგვიმართლა თერთმეტმეტრიანების სერიაში და იღბალმა ამჯერად აღარ გაგვწირა“. 38 წლის ალექსანტოსმა ადვოკაატს მაინც გაჰკრა კბილი: „დიკ ადვოკაატი კარგი მწვრთნელია, მაგრამ კიდევ რაღაც აკლია საიმისოდ, რომ საუკეთესო გახდეს. მთავარია, გუნდი ნახევარფინალში გაიყვანა, საიდანაც ფინალამდე ერთი ნაბიჯია“.

ედვინ ვან დერ სარმა აქამდე სამჯერ იგემა მარცხი პენალტების სერიაში — 1996 წელს ევროპის ჩემპიონატზე ფრანგებთან, 1998-ის მუნდიალზე ბრაზილიასთან და ევრო 2000-ზე იტალიასთან. ჰოლანდიელმა მეკარემ შვედებთან მელბერგის დარტყმული მოიგერია და ისე მშვიდად გამოიყურებოდა, თითქოს იცოდა, რომ ასეც მოხდებოდა. „დარწმუნებული ვიყავი, ძველი აღარ განმეორდებოდა, რადგან საკმაო გამოცდილება დამიგროვდა და ოდესღაც უნდა გაგვმართლებოდა. ჩემპიონატზე შვედების ორი გატანილი პენალტი ნანახი მქონდა და, ცხადია, ცოტა იღბალიც წამეხმარა“ — განაცხადა ვან დერ სარმა.

ევრო 2000-ის ნახევარფინალში იტალიასთან ფრანკ დე ბურმა ორი თერთმეტმეტრიანი დარტყმა გააფუჭა. ერთი თამაშის დროს, მეორე კი პენალტების სერიაში. გუშინწინ ტყუპისცალი პირველ ტაიმში ტრავმის გამო შეცვალეს და, მისი თქმით, რომ არ გაეყვანათ, ალბათ ფილიპ კოკუს ნაცვლად შეასრულებდა პენალტს.

„ნახევარფინალში ჩემი თამაში თითქმის გამორიცხულია, რაც ძალიან სამწუხაროა, რადგან უკვე ფორმაში ვიყავი. მიმძიმს იმის გაფიქრება, რომ შესაძლოა, ფინალიც კი გამოვტოვო“ — თქვა ფრანკ დე ბურმა.

ვაჟა ხუციშვილი



მარჩელო ლიპი იტალიის ნაკრების მწვრთნელად დანიშვნით ძალიან კმაყოფილია და ასისტენტად, არც მეტი, არ ნაკლები, ჩირო ფერარას უპირებს ნაყვანას. დიახ, არ მოგესმათ, „იუვენტუსის“ ვეტერან მცველ ჩირო ფერარაზეა ლაპარაკი

ტრაპის ახლობელი იტალიის იმედი

„ბედნიერი, აღელვებული და ამაყი ვარ — განაცხადა „იუვეს“ ყოფილმა თავკაცმა იტალიის ფეხბურთის ფედერაციასთან ორწლიანი კონტრაქტის გაფორმების შემდეგ — ეროვნული გუნდის გაძღოლა ნებისმიერი მწვრთნელისთვის საოცნებო საქმეა და ეს რომ ჩემი ერთ-ერთი მიზანთაგანი იყო, არასდროს დამიმალავს“.

შეგახსენებთ, თუმც რა შეხსენება უნდა, რომ მარჩელო ლიპიმ „სკუადრა აძურას“ მწვრთნელის თანამდებობაზე ახლახან, ევრო 2004-ის ჯგუფური ეტაპიდან გავარდნილი ჯოვანი ტრაპატონი შეცვალა.

„პირველი, ვისზედაც დღეს ვფიქრობ, ფანტასტიკური პროფესიონალი ჯოვანი ტრაპატონია — დასძინა ლიპიმ — მე მასთან ძალიან ახლო ურთიერთობა მაკავშირებს, ხშირად ვურეკავთ ხოლმე ერთმანეთს.“

იურიდიულად ტრაპატონის კონტრაქტს ჯერ კიდევ აქვს ვადა, 15 ივლისამდე, ასე რომ, ლიპი ახალ სამსახურში 16-ში ივლისს უნდა გამოცხადდეს.

და, ცხადია, იტალიურმა პრესამ მოჰკრა თუ არ ყური ლიპის დანიშვნის ამბავს, ერთი ამბავი ატეხა, ცდილობდა გამოეცნო, თუ ტრაპატონის რჩეულთაგან ვის დატოვებს და ვის არა „ახალი ცოცხი“.

„გუნდის რევოლუციურად გარდაქმნას არ ვაპირებ. ძირითადი სტრუქტურა ხელშუხლებელი დარჩება და მას რამდენიმე ახალგაზრდა ფეხბურთელი დაემატება. მინდა ნაკრები ჩემი გამოცდილებითა და ენთუზიაზმით გავამდიდრო. მწამს დღევანდელი 21-წლამდელთა ნაკრების მოთამაშეებითა და ევრო 2004-ზე ნამყოფი გამოცდილი ვარსკვლავებით უნდა აიგოს სამომავლო გუნდი. თუ შესაძლებელი იქნება, დახმარებას კლუბების მწვრთნელებს ვთხოვ და მათ ვარჯიშებს დავესწრები“.

გავიხსენოთ, რომ სიგარის მწველი მარჩელო ლიპი „იუვენტუსის“ სათავეში ყოფნისას ხუთი სკუდეტოსა და ერთიც ჩემპიონთა თასის მფლობელი გახდა, თუმცა „ინტერში“ ცოტა ხანს დაჰყო და იქიდან თავქუდმოგლეჯილი გამოიქცა.

„ნაკრები ბუნებას ვერ შეიცვლის, ვერ ვხედავ საამისო მიზეზს, თუმცა თუ მაინც შევიცვლები, მხოლოდ უკეთესობისკენ“ — ვარაუდობს ლიპი, რომელიც, როგორც უკვე ცნობილია, მეკარეების მწვრთნელად მასთან თანამშრომლობით განთქმულ ბორდონს მიიყვანს, ხოლო ფიზიკური მომზადების საკითხებს ასევე მასთან გამოცდილ პინკოლინის ჩააბარებს.

„ლიპიმ მითხრა, რომ ნაკრებში მომუშავე ადამიანთა რიცხვის მინიმუმამდე დაყვანა სურს. თავად მისი ხელფასი ოდნავ უფრო მცირეა, ვიდრე ტრაპატონის, მაგრამ თუ საქმე კარგად წავა, კონტრაქტს განვუახლებთ, იმედი მაქვს, ლიპის ხელმძღვანელობით ჩვენი ნაკრები იმ შედეგს მიაღწევს, რაც ეკუთვნის, გასული მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატების უარყოფითი გამოცდილება აუცილებლად გასათვალისწინებელია“ — განაცხადა ახალი მწვრთნელის წარდგენისას ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ფრანკო კარარომ.

პაპუნა კედია

რატომ წააგო ინგლისმა?

და ისევ პორტუგალია — ინგლისი, დაუვიწყარი შეხვედრა, რომელიც ევრომ 2004-ის მასპინძლებმა პენალტებით მოიგეს. რატომ დამარცხდა ჩვენი გუნდი? — აი, კითხვა, რომელიც მატჩის დამთავრების წამიდნა არ ასვენებს ინგლისის ნაკრების ფანობას და ბრიტანული მედიას. პასუხს ხან სოლ კემპბელის არჩათვლილ გოლში ეძებნ და ხან დევიდ ბექემის აცილებული პენალტში, მაგრამ ნელ-ნელა საჯაროდ იკვეთება სხვა მიზეზებიც. მაგალითად, ბურთის ფლობა.

საინტერესოა, რომ ინგლისელებს პასების სიზუსტე არ უვარგოდათ. არასწორად გადაწოდებული პასების რიცხვი შემაშფოთებლად მაღალი ჰქონიათ, ხოლო ყველაზე ცუდი მაჩვენებელი სტივენ ჯერარდის ყოფილა. ძალიან ცუდი მაჩვენებელი ჰქონდა დევიდ ბექემსაც, ხოლო ყველაზე უკეთ პოლ სქოულზის საქმე ყოფილა, აი, ჩამონათვალიც.

სტივენ ჯერარდი პასებით დაიკვეხნის

პოლ სქოულზი	15	12	80%	ოუენ ჰარგრივსი	18	11	61%
ფრენკ ლამპარდი	50	34	68%	დევიდ ბექემი	60	35	58%
ფილ ნევილი	34	23	68%	სტივ ჯერარდი	36	14	39%

პაპუნა კედია

EURONEWS

ინგლისი ურს მაიერისგან ბოდიშს ელის

მსაჯმა ცოლს მსაჯთან ულალატა

ურს მაიერმა სოლ კემპბელს პორტუგალიის კარში გატანილი გოლი არ ჩაუთვალა. ინგლისელ ქომაგთა უმრავლესობა დარწმუნებულია, რომ გოლი ჩასათვლელი იყო და ინგლისური „სანის" მტკიცებით, შვეიცარიელმა სვენ გორან ერიკსონს ნამატჩევს ბოდიშიც კი მოუხადა.

იმავე „სანს" თუ ვერწმუნებით, ურს მაიერს პირადი ცხოვრება ჰქონია აწეწილი, მიუტოვებია მეუღლე ფრანცისკა და ორი შვილი. შვეიცარიელ მსაჯს კოლეგა ნიკოლ პეტინია შეჰყვარებია, რომელიც პირველი ქალი მსაჯია, რომელსაც უეფას თასის მატჩი ანდეს განსასჯელად.

„ურსმა ინგლისი ისევე მოატყუა, როგორც მე — თქვა ფრანცისკამ — თავად არ მინახავს ის მატჩი, მაგრამ, დარწმუნებული ვარ, გოლი იყო".

მაიერის ახლობლების თქმით, ურსისა და ფრანცისკას ურთიერთობა სამაგალითო იყო, მაგრამ ნიკოლის გამოჩენამ დაარღვია ოჯახური იდილია.

„იმ ქალმსაჯას არ ვიცნობ და არც მსურს, გავიცნო. ურსს ველაპარაკე და შევახსენე, რომ მას შვილები ჰყავს. რაც მოხდა, ძალიან მძიმე გადასატანია ჩემთვის".

მოღალატე კაცმა და ნიკოლ პეტინიამ უკვე შეიძინეს სახლი პატარა სოფელში. შვეიცარიელი მსაჯი 45 წლისაა და ასაკის გამო ამ სეზონში მისი კარიერა დასრულდება. როგორც ჩანს, მაიერი ხელობას შეეშვება და თავის ცოდნა-გამოცდილებას ნიკოლს სოფლის ჰაერზე გაუზიარებს.

გაჟა ხუციშვილი





ბექემს ესპანეთში დაშრტყია

ევრო 2004 თუ რამით დაამახსოვრებს ხალხს თავს, დევიდ ბექემის ვერგატანილი პენალტებით, რომელთაგან მეორე, პორტუგალიასთან მეოთხედფინალურ მატჩისშემდგომ პენალტების სერიაში ძალიან აცდა-მიზანს, მიმომხილველებს ამ პენალტთან დაკავშირებით ყველაფერმა ცნობისწადილი გაუღვივა, მათ შორის იმან, თუ სად წავიდა ბურთი, რომელიც კარში აშკარად არ შეფრენილა. გაირკვა, რომ ინგლისის ნაკრების კაპიტნის დარტყმული ბურთი 25 წლის ესპანელ ახალგაზრდასთან, პაბლო კარალისთან ერთად გალისიას, კარალის სახლისკენ გაემგზავრა.

„კალათბურთს ვთამაშობ და, როდესაც დავინახე, რომ ბურთი ჩემსკენ მოფრინავს, ავხტი, ცალი ხელით დავიჭირე და მაისურას ქვეშ ამოვდე. მე Q რიგში ვიჯექი. ხომ წარმოგიდგენიათ, რა მანძილით ააცილა ბექემმა მიზანს" — თქვა ესპანელმა პორტუგალიური „ა ბოლას" ფურცლებიდან— ახლა ამ ბურთს შევინახავ, როგორც ძვირფას საგანს".

პაპუნა კედია

მათეუსიც ჰიცფელდისტია

გერმანიის ნაკრების წარუმატებლობაზე არაერთმა ცნობილმა გერმანელმა ილაპარაკა. ლოთარ მათეუსს, ცხადია, ამ საკითხზე თავისი აზრი აქვს და ქვემოთ ჟურნალ „ველტში" გამოქვეყნებულ მის ნაუბარს გთავაზობთ

რაც მოხდა, ძალიან მარტივად ასახსნელია — ყველას და ყველაფერს ზემოდან ვუყურებთ. სწავლა აღარავის სურს და შედეგიც შესაბამისი მივიღეთ. ჰოლანდიასთან 1:1 გაგვიხარდა. არადა, ადრე შეიძლება ამისთვის მწვრთნელი მოეხსნათ. მატჩს შემდეგ ფაბიენ ერნსტი განტევების ვაცად აქციეს, რაკი მის ერთადერთ შეცდომას გოლი მოჰყვა.

გადახედეთ სათადარიგოთა სკამს. რუდი ფიოლერს არჩევანი არ ჰქონდა, ამიტომ უკეთესი იქნებოდა, ეს ტურნირი ექსპერიმენტებისთვის გამოგვეყენებინა.

ჩემპიონატის დაწყებამდე ვთქვი, რომ წარმატების არ მჯეროდა და სჯობდა, სამომავლო გუნდის შექმნაზე გვეზრუნა, რადგან პორტუგალიაში წინასწარ განწირული ნაკრები გაემგზავრა.

ფეხბურთელებიდან ვერავის გამოვარჩევ. საერთოდ კი, ევრო 2004-ზე 21-წლამდელთა ბირთვი რომ წაეყვანათ, ბევრს ისწავლიდნენ და მსოფლიოს მომავალი ჩემპიონატისთვის გამოცდილებას შეიძენდნენ. ეს სეზონი გერმანიამ ყველანაირად ჩაგდო, როგორც სანაკრებო, ისე საკლუბო დონეზე. ამიტომ საჭიროა, რომ საფეხბურთო კავშირის პრეზიდენტმა გერჰარდ ფორფელდერმა ფეხბურთის გაცოცხლებაზე სერიოზულად იფიქროს.

ახლა პრეზიდენტი რუდი ფიოლერის შემცვლელს ეძებს, ხოლო ფრანც ბეკენბაუერი ZDF-ზე კომენტატორებს, პრობლემის მოგვარებაზე კი არავინ ფიქრობს.

ჩემი აზრით, რუდი ფიოლერი ოტმარ ჰიცფელდმა უნდა შეცვალოს, ეს ადრეც არაერთხელ მითქვამს. ვფიქრობ, ჰიცფელდი გერმანიას სწორ გზაზე დააყენებს.

ოტმარ ჰიცფელდის კანდიდატურა ლოთარ მათეუსმაც მოიწონა

სიახლე საქართველოში!

საუკეთესო ხარისხის სპორტული ფორმის (ტრუსები, მაისურები) დამზადება გნებავთ, თქვენი სურვილისამებრ, გნებავთ თქვენს მიერ კატალოგში შერჩეული ესკიზით ნომრები სპორტულ მაისურებზე, წარწერები... სპორტული ატრიბუტიკა: დროშები, ვიმპელები... საცალო და საბითუმო ფასებში

სარო-არტპრინტი

ვაჟა ფშაველას 91

53-76-82 899 56-18-49

EURONEWS

პლატინიმ საფრანგეთის ტიგანა შესთავაზა

საფრანგეთში უკვე ახალ მწვრთნელს ეძებენ. ჟაკ სანტინიმ ევრო 2004-ის დაწყებამდე „ტოტენჰემთან“ გააფორმა კონტრაქტი და ლონდონში გაემგზავრება. სანტინის შემცვლელად ჯერჯერობით ორ კანდიდატს განიხილავენ, ჟან ტიგანასა და ლორენ ბლანს. საფრანგეთის ფეხბურთი ფედერაციის პრესმდივნის განცხადებით, ამ საკითხს 9 ივლისს დაგეგმილ სხდომაზე განიხილავენ.

მიშელ პლატინი ტიგანას კანდიდატურას ემხრობა: „დარწმუნებული ვარ, ის ძალიან კარგი მწვრთნელი იქნება. მე ვიცნობ ლორან ბლანს როგორც ფეხბურთელს, მაგრამ მისი მწვრთნელობისა არაფერი გამიგია. ვფიქრობ, რომ ბლანისთვის ნაკრების ჩაბარება ნაადრევია“.

პლატინის არ დაეთანხმა ფედერაციის თავმჯდომარე კლოდ სიმონე. „სულაც არ მიმაჩნია, რომ ტიგანა ერთადერთი და უკონკურენტოა. ლორან ბლანსაც არნაკლები შანსი აქვს“.

სიმონემ თითქმის გამორიცხა დიდიე დეშანი, რომელმაც „მონაკო“ ჩემპიონთა ლიგის ფინალში გაიყვანა და 21-წლამდელთა თავკაცი რაიმონ დომენეკი.

ზინედინ ზიდანი ჯერჯერობით არ აპირებს ეროვნული გუნდიდან წასვლას: „არ გადამიწყვეტია, უნდა ვიფიქრო, რადგან ამის დრო აშკარად მოვიდა, მხოლოდ იმას ვიტყვი, რომ მსოფლიოს 2006 წლის ჩემპიონატამდე პასუხს აუცილებლად გავამხელ“. ზიდანს ახალ მწვრთნელზეც ჰკითხეს. „ცხადია, ჩემი ფავორიტი მყავს, მაგრამ ვერ გაგანდობთ“ — განაცხადა ფრანგმა.

ბიქსენტ ლიზარაზუს თავისი მოსაზრება აქვს: „ნაკრებიდან წასვლას არ ვჩქარობ. ამის თაობაზე გადაწყვეტილების მიღება მარცხიდან მეორე დღესვე გამართლებული არაა. ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე, თუ რომელ კლუბში გადავალ“.

შეგახსენებთ, რომ ლიზარაზუს „ბაიერნთან“ კონტრაქტი დაუმთავრდა და შესაძლოა, „ტოტენჰემში“ წასულ ჟაკ სანტინის გაჰყვეს.

ვაჟა ხუციშვილი

მსაჯის დღე
როცა არ იცი, რა გელის

თქვენ ფიქრობთ, რომ ევრო 2004-ზე თექვსმეტი გუნდი უნდა იყოს? ნურას უკაცრავად, არ გამოგრჩეთ მეჩვიდმეტე გუნდი, რომელიც პორტუდან ყურის ძირში, ესპინიუში გახლდათ და არის დაბანაკებული. მსაჯების გუნდზე მოგახსენებთ, რომელსაც თავისი ცხოვრების წესი აქვს, სწორედ ამ წესს გვაცნობენ ის უეფას თანამშრომელი ჟურნალისტები, რომელთაც ერთი დღე სლოვაკ არბიტრ ლუბოშ მიხელთან გაატარეს. იმ დღეს სლოვაკი ჰოლანდია — შვედეთისთვის ემზადებოდა, თუმცა... მაინც ჯობს წინა დღის ამბებით დავიწყოთ

ამ დღეს მსაჯთა გუნდმა უეფას მწვრთნელებთან ერთად ბოლო ვარჯიში ჩაატარა: სპრინტი და გაჭიმვები. ეს იყო მთავარი. ამის შემდეგ მიხელი და მისი ასისტენტები პორტუდან ფარუში გაფრინდნენ, სადაც უეფას სასტუმროში გაათენეს ღამე. მეორე დილით:

08.30. საუზმე

მსაჯები მოშვებულნი იყვნენ, წინა დღის თამაშზე საუბრობდნენ, მათთვის მთავარი თემა ბერძენთა მიერ ფრანგების მოულოდნელი ძლევა იყო.

10.00. უსაფრთხოების ზომები

მსაჯებმა უეფას დელეგატთან, მსაჯთა დამკვირვებელთან, მეტოქეთა და სტადიონის წარმომადგენლებთან, პოლიციელებთან, მეხანძრეებთან და სასწრაფო დახმარების ექიმებთან ერთად უსაფრთხოების საკითხებზე იმსჯელეს. აქვე ითქვა, რა ფორმებით ითამაშებენ მეტოქეები, მეკარეები და რა ფორმები ეცმებათ მსაჯებს.

12.30. ლანჩი

ასეთ დროს მსაჯები ნაკლებცხიმიან საკვებს მიირთმევენ, მაგალითად, პასტას, რაც ჩვენში მაკარონადაა ცნობილი. სასმელი — მინერალური წყალი, ხილის წვენი.

13.30. ჩანთის ჩალაგება

მსაჯები ჩანთაში ალაგებენ ორ მაისურას, ორ შორტს და გეტრებს, პლუს რამდენიმე წყვილ ბუცს (მოკლე და გრძელი ქაცვებით), ორ წამზომს, რამდენიმე სასტვენს, წითელ-ყვითელ ბარათებს და მონეტას მოედნის ცენტრში ასაგდებად.

ლუბოშ მიხელს საქმე ბევრთან გაურჩევია

14.00. დასვენება

მიხელი, ისევე როგორც ევროპის ჩემპიონატის მონაწილე სხვა მსაჯები, ამ დროს დაძინებას ცდილობს.

17.00. წახემსება

სტადიონზე წასვლის წინ მსაჯები ყავას და ნამცხვარს ანიჭებენ უპირატესობას. ამ დროს ისინი იწყებენ მოახლოებულ შეხვედრაზე საუბარს, ვარაუდობენ ტაქტიკას, მოსალოდნელ იცბიერეს და არჩევენ ვარსკვლავების თამაშის თავისებურებებს.

18.15. სტადიონზე

მიხელი და მისი ასისტენტები მოედანზე გადიან, ამოწმებენ ხაზებს, კუთხურის დროშებს, კარის ბადეებს, სათადარიგოთა სკამებს.

18.45. მასაჟი

მიხელს მასაჟს უეფას მასაჟისტი უკეთებს, რის შემდეგაც ის და მისი კოლეგები მოედანზე გადიან გასახურებლად.

19.10

მსაჯები იცვამენ ფორმებს, აღიჭურვებიან. მეოთხე მსაჯად ამ დღეს მარკუს მერკია. ის ათი ბურთის დაბერვას ამოწმებს. ამის შემდეგ ორს მსაჯებს უტოვებს, დანარჩენი მოედნის პერიმეტრზე განსალაგებლად გააქვს. ამის შემდეგ იწყება ცრუმორწმუნეობის რიტუალი: მიხელი ოთახში სტოვებს საგანგებოდ წამოღებულ შვილის ნაჩუქარ სპილოს და ცოლის ნაჩუქარ სამყურას ოთხ ფოთოლს.

19.20. თათბირი

ოთხივე მსაჯი მოკლედ თათბირობს. ისინი აზუსტებენ თავიანთ როლებს, პროცედურებს და თანხმდებიან ჟესტებზე.

19.37. გადიან

მსაჯები ოთახიდან გადიან, ორივე გუნდი, როგორც წესი და რიგია, გვირაბში ელოდება.

19.41. ჰიმნები

19.45. ჩასტვენა

ავი სიტყვა

ქამონ ინგლანდ! ვივ ლა ფრანს!

მძიმე არა ის, დალოცვილი დღეა ორშაბათი. სადმე უცხოთში შეიძლება მართლა სამუშაო კვირა იწყებოდეს, ჩვენ კიდე ერთმანეთს ვნახავთ, ნისიად ცივ ლუდს ჩავარაკრაკებთ და... დაგროვდა, დაგროვდა ამბები ჩემი მოწონებული! ქამონ ინგლანდ! ვივ ლა ფრანს! — ყველაფერი ასე აგიხდეთ. რასაც ვამბობდი ზუსტად ისე მოხდა: ვამბობდი ინლანდელები უნიჭოები არიან-მეთქი? ვამბობდი საფრანგეთი ცარიელი რეკლამა და ბუაა-მეთქი? ვამბობდი მაფია ყომარობს-მეთქი? — მაპატიეთ ჟარგონისთვის, გეთაყვა. მეორე მხრივ, მე თუ შენ გეთაყვა, შენ მე არ მეთაყვა? იმის თქმა მინდა, რომ ამდენი ხანია, ჩემო კარგო მკითხველო, გიხსნი ჩტო კ ჩემუ, კალორიებს ვხარჯავ ამ პაპანაქებაში, შენ კიდევ მედავები. ეგრე არ არისო, ინგლისი მაგარიაო, აქეთ გალანდიაო...

გინდათ ვითხრათ გალანდიამ შვედებთან პენლები რატომ იყომარა? (ასე იმიტომ ვამბობ, რომ პირველი ევროპელებისთვის იყოს გასაგები, თორემ ვიტყოდი „ჰოლანდიამ“ შვედებთან საქმე პენალტებამდე მიიყვანაო“ და ნათქვამს მხოლოდ თოთხმეტი კაცი მიხვდებოდა — ცხრა ოთხმოც წელს მიტანებული სკკპ ისტორიის პროფესორი იქნებოდა, სამი კემბრიჯში სასწავლად წასული ასტიგმატიზმიანი თინეიჯერი, ერთი მე და ერთი თქვენ დაამატეთ). ჰო, თემას არ ავცდეთ: გალანდიამ შვედებთან პენლები იმიტომ იყომარა, რომ პორტუგალიას უნდა დატაკებოდა და პორტუგალიას ინგლისთან იმენა დაბავშრნი ჰქონდა ნათამაშები. იტოგში, პორტუგალია დაღლილი იყო და ზნაჩიტ, საპერნიკიც დაღლილი უნდა შეხვედროდა.

ეს მაფიის ყომართან დაკავშირებით, ეხლა ქომონ ინგლანდზე: უკვე ქრონიკულშია გადასული — ეს ინგლისი ქუხს და არ წვიმს, ქუხს და არ წვიმს. ბექემს — ბექემი ხომ იცით, ბექემს ან ბექხემს რომ ეძახიან? — ფეხქვეშ ბელტი გაცურებია, მომიკვდეს თავი. ნუ, ვინ არ დაარტყა იმ ადგილიდან, ვინ არ დაარტყა და მაინცდამაინც ამ საწყალ ბექხემს გაუსრიალდა ვერაგი ბელტი. მისრიალებდა ბელტი, მიაცურებდა ბექხემს და პირდაპირ ვ. ადამსის ფერხთ დაანარცხა გმირთაგმირი. ვ. ადამსმა შეჰყვირა: „ო, მაი გოდ!“ და ხელი გაუწოდა კაპიტანს, რომელიც ცალ მუხლზე წამოიმართა, რათა ეამბორა.

ზღაპარ იყო, ზღაპარ იყო... ვობშემ ინგლისი მიეწია იტალიას! იმ მომენტში კი, — თავს ნუ იტყუებთ ინგლისის ძვირფასო ქომაგებო, — ტერიმ ჯარიმა აიკიდა და მსაჯი ასპროცენტიანი იყო გოლი რომ არ ჩათვალა.

და, რა თქმა უნდა, ზიდანი... აბა, ვინ მეტყვის, რაა საერთო ზინედინ ზიდანს და ნურადინ ფრიდონს შორის? ნუ, ორივე სადღაც მულღაზანზარიდანაა, კი ბატონო. მერე? ეარა, ნურადინ ფრიდონის ვარცხნილობაზე ვერაფერს მოგახსენებთ, სურათი არ შემორჩენილა... სხვა თქვით რამე. ვერა? მაშ მე გეტყვით, ორივემ ზღაპარში გაითქვა სახელი, თორემ სინამდვილეში და რეალისტურ ამბავში ვინ ზიდანი და რა ფრიდონი თუ ძმა ხარ.

პირველი ევროპელების საყურადღებოდ: ზინედინ ზიდანი, რომ ალჟირული წარმოშობის ფრანგი ფეხბურთელია, ალბათ, იცით. ნურადინ ფრიდონი კი გახლავთ ერთერთი გმირი ანუ პერსონაჟი ჩვენი წელთაღრიცხვის 12-13-ე საუკუნით დათარიღებული პოემისა „ვეფხისტყაოსანი“, რომლის შინაარსსაც დღევანდელ წერილში არ მოგიყვებით, მომავალში კი ვნახოთ. ისე, ბევრი სისხლებია, მოგვეწონება.



უკან, მულღაზანზარიდან

eurofan2004@hotmail.com

რამ გაგაცინათ საქართველოს ნაკლები?

თქვენი გამოგზავნილი წერილების კლასიფიკაცია რომ მოვახდინოთ, ორი ტიპის წერილებს მივიღებთ.

პირველი: წერილები NATIA-1111-ს;

მეორე: სხვა წერილები.

საერთოდ კი ორშაბათის „სარბიელისთვის" წერილების გარჩევა ძალიან მწელია, რადგან რაკი კვირას გაზეთი არ გამოდის, წერილები გროვდება და სრულად დასაბეჭდად, სამი გვერდი არ ყოფნის. ამიტომ დღეიანდელ მიმოხილვაში თქვენი წერილების ძალიან შემოკლებულ ვარიანტებს დაგბეჭდავ. შემდეგისთვის კი გთხოვთ, მოკლედ მოიწეროთ.

ამ შესავლის მერე კი მოდით, NATIA1111-სადმი გამოგზავნილი წერილებით დავიწყოთ.

LESO2: ტრაპატონის გადამეკიდე მოწერას ალარ ვაპირებდი, მაგრამ მაინც მოგწერ. ის მაინტერესებს, შენ თვითონ ვის ბალეშჩიკობ? რაც შეეხება ჩემპიონატს, იტალიის გავარდნის შემდეგ ჩეხებისკენ ვარ ნედვედის გამო. ისე, NATIA1111-მა არ იფიქროს რას გადამეკიდაო, მაგრამ თუ უნდა, ხელზე გავუმაზავ 100 დოლარზე ან მეტზე, რომ დანია ვერ გახდება ჩემპიონი. და თუ გახდება, ტოტალიზატორში რა კუშიც არის, ორმაგს მივცემ. ისე, დანიის ჩემპიონობაზე რამდენია კუში?

სიმართლე გითხრა, ახლა რამდენი აქვს არ ვიცი, ჩემპიონატის დაწყებამდე კი „კროკოში" 30.0 ჰქონდა. მაგრამ ეგ რაა, ერთ ევროპულ ტოტალიზატორში ვნახე, საქართველოს მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ეტაპზე ჯგუფში პირველ ადგილზე გასულაში 50.0 უწერია. და მე ვის ვგულშემატკივრობ? ტოტალიზატორის ქვითარში ვისი გამარჯვებაც მიწერია, იმას.

SOSOGAGNIDZE: საერთოდ, ფეხბურთში ყველაზე უიღბლო გუნდები იტალია და ჰოლანდია არიან. ამით იმის თქმა კი არ მინდა, რომ წელს იტალიას არ გაუმართლა. მათ რაც დაემართათ, თავიანთ თავს და ტრაპატონის დააბრალონ. მინდა „აძურის" ფანობა დავამშვიდო, წელს ჩვენ საჩემპიონო გუნდი არ გვყოლია და თან შეთქმულების მსხვერპლი გავხდით. ჭეშმარიტ იტალიელ ფანებს მოგიწოდებთ, მეოთხედფინალში ჩეხებს უქომაგეთ. მაგარი გახარებული ვარ ფრანგების და ინგლისელების გავარდნით. ერთი კითხვა მინდა დავუსვა საფრანგეთის, ინგლისის და გერმანიის გულშემატკივრებს: იტალიელებს რომ დაგვციონოდნენ, მაგ გუნდებმა რა უკეთესად ითამაშეს? NATIA1111-ს მინდა წინასწარ მივულოცო დანიის გასაზიზღრება. თუ ჩეხები ჩემპიონები გახდნენ, ლუდზე დაგპატიჟებ და დანია და შვედეთი დავლოცოთ.

ოო, ცოტა არ იყოს დავიბენი, ალარ ვიცი ვის ვუქომაგო — დანიას ნათიას ხათრით, თუ ჩეხეთს ლუდის ხათრით.

DIDGORI 1121: ერთი გამაგებინეთ, რატომ მოგწონთ დელ პიერო. დელ პიეროს კი არა, მარადონას აქვს 1982 წლის ჩემპიონატი ჩაგდებული. აი, ნახეთ, დელ პიერო ლიპის ხელში როგორ ათამაშდება ნაკრები. ისე, NATIA-1111-საც გამოვეხმაურები. რატომ არის დანიის გამარჯვებაში დარწმუნებული? 2002-შიც კარგი გუნდი ჰყავდა, კარგად გავიდა ჯგუფიდან. მარა რაც მოხდა, თქვენც კარგად იცით. ალბათ, ახლაც ანალოგიურად იქნება. NATIA, შენ გული არ დაგწყდეს. მაგრამ დანიის ფსიქოლოგია არაა საჩემპიონო. მე ასე ვფიქრობ.

პატივცემულო დიდგორო, საერთოდ ევრიდები ჩემი აზრის გამოთქმის, ეფიქრობ, კორექტული არ არის, მაგრამ რაკი დაინტერესდი, დელ პიეროზე ვიტყვი: 89-ში ერთ ტაიმს რომ მაგას ათამაშებდნენ და ერთ ტაიმს ბაჯოს, როცა ბაჯო აშკარად უფრო სასარგებლო იყო, იმის მერე არ მომწონს დელ პიერო, თუმცა ის უფრო მამა მალდინის დანაშაული იყო. მერე, წინა ევროპაზე, ცხოვრებაში ერთადერთხელ ვუქომაგე იტალიას და რა გააკეთა დელ პიერომ ფინალში?!

MEZVRO: ვადიარებ, ნამეტანი ცუდი შინაარსი შეიძინა ხალხის ბოლოდროინდელმა წერილებმა (ჩემმაც). საკუთარი გუნდის წარუმატებლობით ნაწყენი გულშემატკივარი სხვა კისერწატეხილი გუნდების დაცინვითაა იხალისებენ თავს. ისე, „სკუადრას" რომ მიდგებიან ისეთი ფანები, ვის გუნდებს უფრო უარესად აქვთ საქმე, მაგალითად, გერმანიას, მერე ძნელად თუ შეიკავებ პასუხისგან თავს. ერთი იდეა მაქვს: ჩემპიონატის შემდეგ ყველა EUROFAN-2004-ის მეილის სტუმარი ერთ დიდ სუფრას შემოვუსხდეთ წაგებული თუ გამარჯვებული და დიდი სასმისით ჩემპიონი გუნდის საადღეგრძელო შევსვათ. ისე, დრო ხომ არ არის, ყველამ ჯიბეები მოვიქექოთ და ნათიას დანიაზე დადებულ 100-დოლარიან ფსონს ჩვენი მიეგამატოთ რამე?

კარგი იდეაა, შეეიკრიბოთ და ნათიას მოგებული ფულით ვიქეიფოთ! ახლა კი თავად ნათია რას გვწერს, ენახოთ.

NATIA1111: მჯერა, რომ დანია მოიგებს. მაგრამ ყოველი შემთხვევისთვის წინასწარ გწერ, ჩეხეთის ნაკრები საშინელი გუნდია და თუ მოიგო, დიდი სასწაული იქნება. გაუმარჯოს დანიას! ისეთი პირი უჩანს, ბოლოს მარტო მე ვიზეიმებ დანიის ჩემპიონობას. ყველა, ვინც გიგზავნის წერილს, სხვა გუნდებზე იკლავს თავს. აბა, კარგად!

ნათია, ალბათ ფანთა უმრავლესობა არ დაგეთანხმება, რომ დანიის ჩემპიონობა ჩეხეთისაზე დიდი სასწაული იქნება. და რა აზრის ხარ იმაზე, რომ შენი მოგებული ფულით ვიქეიფოთ? ისე კი, მარტო არ ხარ, დანიას სხვებიც ქომაგობენ.

GAGA_TET: მე დანიის ბალეშჩიკი ვარ და ნახავთ, რას უზამს ნაქებ ჩეხებს. გავიზიარებ ფრანგების გულისტკივილს და შევდივარ მათი გულშემატკივრების მდგომარეობაში. მაგრამ მაინც ვიტყვი, რომ მაგარი ბანდაა ეგ ნაკრები. DENMARK ჩემპიონ!

ახლა კი ნათიას დროებით დავემშვიდობოთ და სხვა წერილები გავარჩიოთ, „პორტუგალიურით" დავიწყოთ.

SALOMEASA: ძალიან მაინტერესებს, რატომ არავინ არაფერს წერს პორტუგალიის ნაკრებზე. ნუთუ ერთი ფანიც არ არსებობს? ხომ დაამტკიცა, რომ ძლიერი გუნდია, თუნდაც ფიგუს გარეშე. ხომ თამაშობენ ყველასგან განსხვავებულ და სანახაობრივ თამაშს?

როგორ არ არსებობენ, ერთის წერილს ახლავე წავიკითხავთ, „სარბიელში" კი პორტუგალიას ბრაზილიის ფანები გულშემატკივრობენ.

SIMPATIAGA_BOY: პე-პე-პე, რავარი იყო პორტუგალია, ჰა? ა, ძმა, ასეთი უნდა იყოს პორტუგალიის თამაში. ხომ ვამბობდი, არ ვარგა ეგ თქვენი ENGLAND-ი-თქო, ეს ფიგუ ვინ ყოფილა, ტო! ეგ გამყიდველი, ეგა! ეგ გაიყვანეს და გუნდიც დაემსგავსა გუნდს. იმან ხომ ვაფშე დაგლიჯა, . რა ერქვა? ელდერ პოსტიგა, ხომ? ჯეიმსს ხომ ვაფშე დაცინა პენალტის დროს. აბა, შენ იცი და თუ პორტუგალია ფინალში გაეა, კაი ბარის ჩამოსასხმელი ყაზბეგი ჩემზეა.

შე სიმპათიურო, „ბარსელონას" ფანი ხომ არ ხარ, ფიგუს გამყიდველს რომ ეძახი? ისე, შენ და სალომეს მაგრად არ გესიამოვნებათ ახლა ისეთ წერილს წაგაკითხებთ.

BIELSAS MTERI: არგენტინის გულშემატკივრებს ბიელსასს ხელში ხმა არაფერზე ამოგეღებდა. მაგრამ ერთ მოწოდებას მაინც შემოგთავაზებთ. ამ ბრაზილიელ ფელიპაუს და დეკოს ევროპის ჩემპიონებად ნუ აქცევთ. უბრალოდ სირცხვილი იქნება. გასრისეთ პორტუგალია!

ჰა, როგორი წერილია სიმპათიურო, არ მოგეწონა?

მომდევნო წერილი კი MEZVRO-ს და LESO2-ს არ მოეწონებათ.

GIORGI: როცა ამ წერილს ვწერ, ჯერ არ ვიცი, რა ქნეს ჩეხებმა და ჰოლანდიელებმა. ალბათ, მალე ეგენიც გერმანიას შეუერთდებიან. ეხლა კი MEZVRO-ს მინდა ვუპასუხო. არ ვიცი, ეგ ვისი ფანია, მაგრამ უნდა იცოდეს, ვის აქვს ყველაზე მეტჯერ ევროპის ჩემპიონატი მოგებული... იგივეს ეეტყვი LESO2-ს: იტალია, მართალია, ლატვიასთან ფრეს არ თამაშობს, მაგრამ ისიც უნდა გვახსოვდეს, რამდენი ხანი გავიდა მას შემდეგ, რაც იტალიამ სერიოზული ჯილდო მოიგო. თან ისიც გემახსოვრება, იტალიაში რომ WORLD CUP ჩატარდა, ვინ მოიგო.

P.S. ბოლოს საფრანგეთის ნაკრების დიდ ფანს, ვახო ვეფხვაძეს მინდა მივესამძიმრო საფრანგეთის ნაკრების ასე უდროოდ დაკარგვის გამო.

ვახო, ძმაო, რა ვუყოთ, ეგეთი ყოფილა ცხოვრება, უნდა გამაგრდე. როდის არის დაკრძალვა? ოღონდ ხომ იცით, „რუჩკებს" არ ენდოთ.

მომდევნო წერილი ხაშურიდან მოვიდა.

XASHURI2004: ვუყურებ ამ საშინელებას (ჰოლანდია - შვედეთს) და გული მწყდება, რომ იტალია სახლში წავიდა. საზიზღარი იყო გერმანია. კარგი იყო ინგლისი (ერიკსონი). ესპანეთი ისეთი იყო, როგორც ყოველთვის. საფრანგეთი კი უტრენერო.

სარბიელელები მაგრები ხართ (გიო ახელედიანი ყველაზე მაგარია). აბა, თქვენ იცით! პორტუგალიოოოოოოოოოოოლ!!!

არა, ხომ ვეუბნებოდი გიო ახელედიანს ყველაზე მაგარი ხარ-მეთქი. იმას კიდევ ეგონა, რომ დაციონოდი და ძაღლს მეძახდა. ჩამოვა პორტუგალიიდან და ვაჩვენებ ხაშურელის წერილს.

ჰო, ხაშურის გახსენებაზე, 6 წლის წინ ულუმბელაშვილების ოჯახში ვიქეიფე კარგად და მომიკითხე. კიდევ, კაცურად ის გამიგე, ხაშურში სანამ შეხვალ, მარცხენა მხარეს ფაბრიკა რომ არის, იმის კუთხეში ჯიხური რომ იდგა რამდენიმე წლის წინ, რატომ აიღეს, ეგებ გამირკვიო.

გავაგრძელოთ.

NIKOLOZOBA: ცხარე ცრემლით დავტირიფუნალ, ეს ეს ხებდა ერეკლეანელი ბასელი ევროპაზე რა წასაყვანი იყო და მერე კიდევ ასეთი პრინციპული პენალტი როგორ დაარტყმევინეს? ტერი, ლამპარდი, რუსი, პატარა მაიკლი — აი, ნამდვილი ბრიტები. დაჟე, ეს ბექემიც ვერ გამიგია რას აწვება, ფლეიბოობა უნდა? ეგ ადრე მართლა მაგარი იყო, ეხლა სულ მთლად გაპომდა.

ვინ გაპომდა მე არ ვიცი. სამაგიეროდ, ვიცი, GIO_KHUTSO ვის აბრალებს ინგლისის გავარდნას და გადარჩენის რეცეპტსაც გვთავაზობს.

GIO_KHUTSO: მე არც უგულო ვარ და არც რომელიმე ნაკრების ფანს დავციონი. დასაციონები მხოლოდ თავად ნაკრებები არიან. რაც შეეხება მათ ფანებს, კონკრეტულად კი გერმანიისას და იტალიისას, მართლაც ზედმეტს ბაქიაობდნენ. მე კი, ინგლისის თავგადაკლულ გულშემატკივარს ხმაც არ ამომიღია და მშვიდად ველოდი ჩემს ჯერს. თუმცა ჩემი ჯერი ეგრეც ვერ დადგა. ვის დავებრალოთ? რუნის ტრავმას? ჯერარდის უკუპასს? ვასელის და ბექემის პენალტებს? მგონი, მთავარი დამნაშავე მაინც ერიკსონია. მისტერ სვენ, თქვენ უნდა წახვიდეთ! გვინდა სერ ბობი რობსონი, მხოლოდ ის თუ გვიშველის.

სერ ბობის არ ვიცი, მაგრამ მისტერ სვენმა მგონი მაგრა სიქარა „ჩელსიში" რომ არ წავიდა აბრამოვიჩთან.

LONG70-ს საბერძნეთის შემყურეს საქართველოს ბედკრული ნაკრები გაახსენდა:

— გერმანიისთვის წავიტირეთ და გვეყოფა. მე უფრო იმის დარდი მაქვს, ფრანგებს რა უქნეს ბერძნებმა და ჩვენ რა დღეს დაგვაყრიან. შენ ცრემლების ღაპაღუში მერე ნახე. მოკლედ, გადაგვივლიან.

საქართველოს ნაკრების თამაშები რომ იქნება, ფორუმს მაშინაც მოვაწყობთ. ტირილის რა გითხრათ, მაგრამ ქართული ფეხბურთის მამები ფრთხილად უნდა იყვნენ, ისეთი წერილები მოვა, ეჭვი მაქვს, მაგრად არ ესიამოვნებათ.

ბოლოს კი თიკოს წერილი წაგიკითხოთ, რომელიც გერმანიაში ცხოვრობს და ბუნდესნაკრები ეზიზღება, ვიერი მოსწონს და ჰოლანდიის ნაკრებს ქომაგობს.

TIKO_VIERI: იმედია ნარინჯისფერთა ჩემპიონობას ვიზეიმებთ 4 ივლისს, ხოლო ზოგიერთებმა, ჰოლანდიაზე რომ აქვთ კბილი ალესილი, ილანდონ ბატონო, სანამ არ მოსწყინდებათ. ჰოლანდია მაინც ყველაზე მაგარია. მისი ფანები კი არ ვაპირებთ ბოლმას ბოლმითვე ვუპასუხოთ. კიდევ ერთი უნდა ვთქვა, თუკი გერმანიის ფანები ძალიან არ გამირისხდებიან. ისე არაფერი არ მომფონებია გულს, როგორც მაგათი გავარდნა. შეიძლება ხალხო, გერმანელების მხარი დაიჭირო? ნაკრებია ეგ? ახლა კი ყველა მწუხარე ფანმა შეიშრეთ ცრემლი და ჰოლანდიის ნაკრებს უგულშემატკივრეთ. დამიჯერეთ არ ინანებთ.

მე და თიკო მოგიწოდებთ. შეიშრეთ ცრემლი და მოიწერეთ.

eurofan2004@hotmail.com

ობიექტი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ათენში დამეც დღე იყო

ბურთი წყალშიც ბურთია

ზიდანი აეროპორტშიც 10 ნომერია

უეინის ტვირთი ჯოლინმა აბარა

სარგებელი: კროკო

წარმოგიდგენთ

ევროპის ჩემპიონატი 2004

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		30 მაისი						
22.45	029	პორტუგალია-ჰოლანდია	2,5	2,9	2,8	1,34	1,32	1,42

I ტაიმის შედეგი

		30 მაისი						
5029		პორტუგალია-ჰოლანდია	2,9	2,05	3,3	1,2	1,54	1.26

რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს
(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე უსონი წაგებულად ჩაითვლება)

		30 მაისი		
5429		პორტუგალია-ჰოლანდია	1,85	1,95

1-ლი ტაიმი/ძირითადი დრო.			1/1	1/X	1/2	X/1	X/X	X/2	2/1	2/X	2/2
		30 ივნისი									
5129		პორტუგალია-ჰოლანდია	3,8	10,0	20,0	4,6	4,2	5,0	20,0	10,0	4,2

რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

			I-ში	თანაბრად	II-ში
		30 მაისი			
5529		პორტუგალია-ჰოლანდია	3,0	2,8	2,0

გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

			კი	არა
		30 მაისი		
5329		პორტუგალია-ჰოლანდია	1,7	1,9

რამდენი გოლი გავა მატჩში. (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

		30 მაისი		
5229		პორტუგალია-ჰოლანდია	1,6	2,0

შემდეგ ეტაპზე გასვლა

			I-ში	თანაბრად	II-ში
		30 მაისი			
7029		პორტუგალია-ჰოლანდია	1,7		1,9

სხვა სახის ფსონებს გაეცნობით ადგილზე

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		შვედეთი. სუპერლიგა. XII ტური						
		28 ივნისი						
22.00	315	ჰეკენი-ატვიდაბერგი	1,5	3,6	5,6	1,05	1,18	2,19
22.00	316	ბრომაპოიკარნა-ენჩიოპინგი	2,0	3,3	3,2	1,24	1,23	1,62
22.00	317	ვესტეროსი-ნორჩიოპინგი	3,3	3,3	1,95	1,65	1,22	1,22
		ნორვეგია. ტიპელიგა. XIII ტური						
		28 ივნისი						
22.00	325	ლინი-რუსენბორგი	3,8	3,3	1,85	1,76	1,24	1,18

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		ისლანდია. პრემიერ დივიზიონი. VIII ტური.						
		28 ივნისი.						
00.15	348	გრინდავიკი-კეფლავიკი	2,4	3,1	2,5	1,35	1,22	1,38
00.15	349	ფრამი-ჰაფნარფიორდური	2,5	3,1	2,4	1,38	1,22	1,35
		ფინეთი. თასი. 1/16 ფინალი.						
		28 ივნისი.						
20.30	435	კტპ-იარო	1,75	3,3	4,0	1,14	1,21	1,8
20.30	436	ტპ 47-როვანიემი	1,8	3,3	3,6	1,16	1,19	1,72

CROCO BOOKMAKERS
კროკო

ამჟამად კროკოს ბიუროები მუშაობს მხოლოდ აქვე მითითებულ მისამართებზე და არსად სხვაგან. ყველა სხვა ქალაქში ან დასახელებული ქალაქები სხვა მისამართზე კროკოს სახელის, სიმბოლიკის, კოეფიციენტების გამოყენება უკანონოა, შპს კროკოს არ ეხება და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ისჯება

კროკოს ბიუროთა მისამართები

თბილისი	ფურცელაძის ქუჩა №10	კინოთეატრ „რუსთაველის“ შენობაში
	აღმაშენებლის გამზირი №70	
	გლდანის მასივი, ხიზანიშვილის ქუჩა №4	
	ვაჟა ფშაველას გამზირი №46	მეტრო „ვიქტორ გოცირიძესთან“ (ყოფილი „დელისი“)
	ნინამძღვრიშვილის ქუჩა №200	ეროვნულ სტადიონთან, ტელმანის ქუჩის კუთხეში
	გურამიშვილის გამზირი №50	მეტრო „ლრმაღელესთან“
	წერეთლის გამზირი, კორპუსი №11	
	ჭავჭავაძის გამზირი № 41	
	გამსახურდიას გამზირი № 3	
	ვაჟა ფშაველას გამზირი №91	
	იოანე პეტრინის ქუჩა №13	დიდი დილომი, მეორე მიკრორაიონი
	ხუდადოვის ქუჩა №4	
	დილომი, III კვარტალი, გრიგოლ რობაქიძის გამზირი, 1ა კორპუსი	
	ვარკეთილი, კალოუბნის „აბ“ კორპუსი №48	
	მელიქიშვილის ქუჩა №15	
	ისანი-კახეთის გზატკეცილი	ისნის ბაზრობის მიმდებარე ტერიტორია
	წერეთლის გამზირი №141	
ქუთაისი	პუშკინის ქუჩა№16	ტელეკომპანია „ივერიონის“ შენობაში
	ფალიაშვილის ქუჩა№ 27	
	ჭავჭავაძის № 67	ცენტრალური ავტოსადგური
გორი	სტალინის ქუჩა №14	
თელავი	კოსტავას ქუჩა №23	
ხელვაჩაური	აღმაშენებლის ქუჩა № 50	
მარნეული	რუსთაველის ქუჩა №39	
ოზურგეთი	გურიის ქუჩა №23	
გურჯაანი	დავით გურამიშვილის ქუჩა №28	
ფოთი	რკალი, რუსთაველის №18	
საგარეჯო	დავით აღმაშენებლის №30	
სამტრედია	რუსთაველის გამზირი №27	
ხაშური	რუსთაველის ქუჩა №16	
წნორი	სტალინის ქუჩა №1	
ბორჯომი	რუსთაველის ქუჩა №145	
ზესტაფონი	გრიგოლ რობაქიძის ქუჩა №6	
ახალციხე	ნათენაძის ქუჩა №7	
რუსთავი	შარტავას ქუჩა №7	

CROCO BOOKMAKERS
კროკო

ისარგებლეთ კროკოს ახალი მომსახურებით



შესაძლო ცვლილებები ადგილზე დაგაზუსტეთ

კრახია და კრახია!

სირცხვილის სექტორი: ალარც დროშა და ალარც დუდუკი

თბილისი. 27 ივნისი. 18 საათი. ლოკომოტივი. 3 000

დილა 0:2 *მარეკი* (0:0)

0:1, 0:2 პარგოვი (44, 90)

დილა: სოდოლაშვილი, გ. ბალაშვილი, ლომიძე, ლ. გოჩაშვილი, ზ. ლაცაბიძე, გილაური, რაზმაძე, რ. ონიანი, საყვარელიძე (ბ. ჩიტაია 46), შატაკიშვილი (სამადაშვილი 66), მუშკუდიანი	მარეკი: ჩავდაროვი, კიუტუკოვი, არანგელოვი, გ. ივანოვი, ბონევი, ველიკოვი, ჰეტკოვი, კარაკანოვი (ანგელოვი 79), კიროვი (გ. ილიევი 62), ბიბიშკოვი (ვალკოვი 86), პარგოვი
სათადარიგონი: თ. ილურიძე, შუბითიძე, კ. ხანიშვილი, მასურაშვილი	სათადარიგონი: ს. სტოიანოვი; კოსტოვი, ბიტოშკა, ლაზარევსკი
მწვრთნელი: ზურაბ ხორგუაშვილი	მწვრთნელი: რუმენ სტოიანოვი

გაფრთხილება: კიროვი (42), შატაკიშვილი (60), ანგელოვი (83)

მსაჯები: რ. მატიეკი; ზ. გურსკა, ი. ფრიდერსი (სამივე ჩეხეთი); ლ. ფანიაშვილი (საქართველო)

კომისარი: კ. გიორგიუ (კვიპროსი)

ორივე მწარე გოლი ივაილო პარგოვისა (№9) იყო



ზურაბ ხორგუაშვილი

პირველ ტაიმში გორელთა სექტორში ტევა არ იყო, მერე კი...

რუმენ სტოიანოვმა 2:0 წაიღო

ძახა შალამბერიძე

— ვფიქრობ, დიდი გამოცდილება მივიღეთ. მეც და ფეხბურთელებიც ამას მომავალში გამოვიყენებთ — თქვა მატჩისშემდგომ პრესკონფერენციაზე „დილას" თავკაცმა **ზურაბ ხორგუაშვილმა** და უნებურად ჩნდება ასეთი კითხვა: კი მაგრამ, რაღა მაინცდამაინც ევროთასებზე წაგებისას ვიღებთ ამ გამოცდილებას?!

კეთილი, მივიღოთ ეს მწარე გამოცდილება, მაგრამ რაც დამოუკიდებელი ქართული ფეხბურთი არსებობს, ჩვენები ვიღაც-ვილაცებთან მარცხდებიან და მერე გაიძახიან, გამოცდილება მივიღეთო. და რა გახდა ეს გამოცდილება ასეთი, რით ვეღარ მივიღეთ ამდენი წელია?!

ფეხბურთს ასე არ თამაშობენ. გუშინდელი თამაშის მერე ძნელი დასაჯერებელია, როგორ წამოიღო გორის „დილამ" დუპნიცადან 0:0. არაფერს ვამბობ ბოლო წუთებზე გაცუდებულ პენალტზე.

„მარეკმა" ყველაფრით აჯობა საგანგებოდ საინტერტოტოდ ახალ ფორმაში გამოწყობილ „დილას", თუმცა არც ბულგარელები ჩანდნენ მაინცდამაინც დიდი ხვითოები. ჩვენები კი...

ყოველ სეზონში ქართული კლუბები ერთმანეთს ჭამენ, არა მე გამიშვით ევროთასებზე და არა მეო, გაუშვით, თორმეტივე გაუშვით, მაგრამ რაღა მაინცდამაინც ფეხბურთის სათამაშოდ მიდიხართ?! არ შეიძლება, ექსკურსიაზე წახვიდეთ?!

ყოველი ზაფხული ახალი იმედებით იწყება ჩვენთვის და ძველი კრახით მთავრდება. მერამდენედ? მერამდენედ ვუყუროთ ივაილო პარგოვის და მისი დარი ფეხბურთელების მიერ ჩვენი კარის აოხრებას?!

იმედით ესტუმრნენ თბილისს გორელი ქომაგებიც. ერთი სექტორი მთლიანად შეავსეს და პირველ ტაიმში ხმის ჩახლეჩამდე ამხნევებდნენ „დილას" დროშა-დუდუკებით შეიარაღებული ფანები. რად გინდა, ბულგარელთა გოლის მერე სექტორი მთლიანად გაცარიელდა... წავიდნენ. ვეღარ გაუძლეს.

მგონი, დროა, ავდგეთ და ვთქვათ, რომ მეტი არ შეგვიძლია. ჰოდა, არ ვჯობია, აქ, საქართველოს ჩემპიონატში ვითამაშოთ და ევროპას მაინც ნუ დავანახვებთ ჩვენს „ძალას?"

ფეხბურთი

ინტერტოტოს თასი 2004

პირველი საკვალიფიკაციო ეტაპი. საპასუხო მატჩები

ხაზარი (აზერბაიჯანი)	2:1	*ბრეგენცი (ავსტრია)* (0:4)
ბალიმენა (ჩრდ. ირლანდია)	0:7	*ოდენსე (დანია)* (0:0)
რუნავიკი (ფარერები)	0:4	*ესბიერგი (დანია)* (1:3)
ფილკირი (ისლანდია)	0:1	*გენტი (ბელგია)* (1:2)
ტრანსი (ესტონეთი)	0:1	*ვეტრა (ლიტვა)* (0:3)
სარტიდი (სერბეთი)	3:0	სანტა ჯულია (ანდორა) (8:0)
სლავენი (ხორვატია)	3:0	ჰიბერნიანსი (მალტა) (1:2)
დინაბურგი (ლატვია)	4:0	ეგერისტვითი (უელსი) (0:0)
ჰაპოელი (ბეერ-შევა, ისრაელი)	0:1	ვლაჭნია (ალბანეთი) (2:1)
ვარდარი (მაკედონია)	5:1	ეთნიკოსი (კვიპროსი) (5:1)
გლორია (რუმინეთი)	0:0	*თუნი (შვეიცარია)* (0:2)
ტეპლიცე (ჩეხეთი)	3:1	შოპრონი (უნგრეთი) (0:1)
ზლინი (ჩეხეთი)	3:2	მიუპა (ფინეთი) (1:1)
დინამო (ბელარუსი)	2:0	ოდრა (პოლონეთი) (0:1)
ატლანტასი (ლიტვა)	1:0	*სპარტაკი (რუსეთი)* (0:2)
დუბნიცა (სლოვაკეთი)	4:0	ტეუტა (ალბანეთი) (0:0)
სლოგოდა (ბოსნია)	1:0	პუბლიკუმი (სლოვენია) (1:2)
ტამპერე (ფინეთი)	0:0	გრევენმახერი (ლუქსემბურგი) (1:1)
დებრეცენი (უნგრეთი)	4:1	*სპარტაკი (სლოვაკეთი)* (0:3)
მალმიო (შვედეთი)	0:1	*კორკ სიტი (ირლანდია)* (1:3)

ბატე გერმანიაშიც ვნახე

დინამოს შანსი ბორისოვოში გამოჩნდება

25 ივნისს ჩემპიონთა ლიგის და უეფას თასის საკვალიფიკაციო ეტაპების წილისყრა ჩატარდა და ქართული გუნდებიდან ყველაზე ძლიერი მეტოქე თბილისის „დინამოს“ ერგო — ბორისოვოს ბატე, რომელსაც „დინამო“ სამი წლის წინათ გადაეწყდა უეფას თასის პირველ ეტაპზე და დამარცხდა — 2:1, 0:4. მაშინ „დინამოს“ მთავარი მწვრთნელი ბივი ნოდია გახლდათ, ვისაც რამდენიმე შეკითხვით მივმართეთ...

— 2001 წლის ბატედან გუნდს ექვსი ფეხბურთელი შემორჩა — როგორ ფიქრობთ, რა შესაძლებლობების გუნდი იქნება დღეს ბატე?

— ფაქტია, რომ ბატეში სერიოზულად მუშაობენ. ამ გუნდს ძალიან სერიოზული მწვრთნელიც ჰყავს — იური პუნტუსი. ბატე ბელარუსის ახალგაზრდული ნაკრების საბაზო გუნდია. აქედან გამომდინარე, „დინამოს“ სერიოზული მატჩები ელის. პირველი თამაში ბელარუსშია და ეს „დინამოს“ მცირე უპირატესობას აძლევს.

— სხვა უპირატესობა „დინამოს“ არ აქვს?

— „დინამოში“, ფაქტობრივად, ახალი გუნდი ყალიბდება. „დინამომ“ თბილისში კარგად ითამაშა საკონტროლო მატჩები და ვფიქრობ, რუიტულ შეკრებასაც ნაყოფიერად გამოიყენებს და ბატესთვის წესით კარგ კონდიციაში უნდა იყოს.

— ახლანდელი და 2001 წლის ბატე — მათ შორის დიდი სხვაობა უნდა იყოს?

— ევროპის ოცდაერთწლამდელთა ჩემპიონატი ახლახან გაიმართა გერმანიაში და ბელარუსების რამდენიმე მატჩს ვუყურე ტელევიზიით — ეს ნაკრები ერთ-ერთი საინტერესო გუნდი იყო ტურნირზე. ბელარუსთა შორის ალექსანდრ გლებიც თამაშობდა, ვინც „შტუტგარტში“ სწორედ ბატედან გადავიდა. პუნტუსის გუნდი 4-4-2 სქემით თამაშობდა. ბელარუსები მოედნის ყველა მონაკვეთზე რიცხობრივი უპირატესობის შექმნას ცდილობდნენ მაშინაც კი, როცა შეტევაში იყვნენ.

— „დინამოში“ რამდენიმე ახალგაზრდა ახალწვეულია — როგორ ფიქრობთ, ამ ევროტურნირებზე მათგან ვინ იქნება გამორჩეული?

— კაშია, ხმალაძე და კანკავა — მათ უეფას თასზე ძირითად შემადგენლობაში თამაში შეუძლიათ. ვფიქრობ, კაშია უკვე „დინამოს“ ძირითადის მოთამაშეა.

— „დინამომ“ რომ ბატესთან წაგო, ამის მთავარი მიზეზი რა იყო?

— მეტოქე სათანადოდ ვერ შევაფასეთ. თბილისში ნორმალურად ვითამაშეთ, მაგრამ ბატემ შინ ძალიან აგრესიულად ითამაშა, პირველივე წუთიდან დაეუფლა უპირატესობას, ჩვენ კი გარდატეხის შესაძლებლობა არ მოგვეცა — ბურდული დაუმსახურებლად გააძევეს, ნერვების ვერმოთოკვის გამო მერე სულაც ცხრანი დავრჩით მინდორზე.

— ახლანდელი „დინამო“— ბატეს დაპირისპირების შანსებს როგორ შეაფასებდით?

— პროგნოზი ძნელია — სამ წელიწადში „დინამოში“ და ბატეშიც საკმაო ცვლილებები მოხდა. თუმც პირველი თამაშის შემდეგ შესაძლებელი გახდება პროგნოზი — პირველი მატჩი ლაკმუსივით იქნება.

— დღეს ჩეხეთი — დანია — ამის პროგნოზი მაინც გვითხარით.

— ჩეხებს მეტოქეზე ოდნავ მეტი უპირატესობა აქვთ.

დავით თავგართქილაძე

როგორ წავიდე ვლადიკავკაზში?

ვლადიკავკაზის „ალანიაში“ ლევან გვაზავას და ვიტალი დარასელიას გარდა კიდევ ერთი ქართველი ითამაშებს — გუშინ მიხეილ ყაველაშვილს ციურიხში შევეხმიანეთ და შევიტყვეთ, რომ მისი ხელახლა გაალანიელება უკვე გადაწყვეტილია...

— „ალანიასთან“ უკვე ყველაფერზე მოვილაპარაკე. ვლადიკავკაზში ორ-სამ დღეში ჩავალ და კონტრაქტზე ხელს მოვაწერ.

— რამდენი ხნით აპირებ „ალანიაში“ ყოფნას?

— ახლა რუსეთის ჩემპიონატში შესვენებაა და „ალანიაში“ სეზონის ბოლომდე დავრჩები. შემდეგ ცოტას დავისვენებ და სამომავლო გეგმებზე დავფიქრდები.

— რაღა მაინცდამაინც „ალანია“?

— ჩემი მენეჯერი „ალანიას“ ფრანგ მწვრთნელ როლან კურბისს კარგად იცნობს და სწორედ მისი მეშვეობით გაიჩარხა ეს საქმე.

— ვლადიკავკაზში წასვლამდე ჯერ თბილისში ჩამოხვალ?

— ჰო, მაგრამ არ ვიცი, თბილისიდან ვლადიკავკაზში როგორ წავიდე — ყაზბეგის თუ ცხინვალის გავლით. ყაზბეგით რომ წავიდე, უხარისხო გზებია. საქართველოში ბოლო დროს სასიკეთო ძვრებია და იქნებ ცხინვალის გავლით ჩავიდე ვლადიკავკაზში.

ძოგა ინასარიძე



ჯიმი, ჯიმი, ჯიმი!

ჩაფრები არველაძეს ჩაუჩაფრდნენ

ბრიტანული სააგენტოების ცნობით, გლაზგოს „რეინჯერსს“ ინგლისური „ჩელსის“ თავდამსხმელ ჯიმი ფლოიდ ჰასელბაინკის შეძენა სურს. ბოლო წლებია, შავკანიანი ჰოლანდიელი ლონდონში თავს ბედნიერად სულაც არ თვლის — ერნან კრესპოსთან კონკურენცია უჭირს და ბუნებრივიცაა, რომ არაასასურველი გარემოს შეცვლას ეშურება.

ამასობაში „რეინჯერსმა“ საახალსეზონოდ უკვე სამი ფეხბურთელი გადაიბირა — „მონაკოს“ ხორვატი ფორვარდი დადო პრსო, ფრანგი მცველი ჟან-ალენ ბუმსონგი და სერბი ნახევარმცველი დრაგან მლადენოვიჩი.

ჯიმის ამბები კი იმადაა ჩვენთვის საინტერესო, რომ „რეინჯერსში“ შოთა არველაძე თამაშობს, ვისაც ალბათ საკმაოდ დიდი გარჯა მოუწევს ძირითადში მოსახვედრად. ჩვენებურს ხომ ამჟამად ორი საქვეყნოდ ცნობილი თავდამსხმელი — პიტერ ლოვენკრანდსი და დადო პრსო ეცილება და თან შოთა წყეულ ტრავმას ჯერაც მკურნალობს.

გასათვალისწინებელია ისიც, რომ არველაძეს შოტლანდიელებთან ახალი კონტრაქტის გაფორმება მეტად გაუჯანჯლდა. ჩვენებური კიდევ ერთი წლით ეკუთვნის „ჩაფრებს“, თუმც გლაზგოელებმა შოთასთან ახალი ხელშეკრულების გაფორმება მის გამოჯანმრთელებამდე გადადეს, პარალელურად კი, როგორც გითხარით, სხვა თავდამსხმელებზეც ნადირობენ.

ძახა შალამბერიძე

ცაიმ-აუტი დინამოსთვის

სანდრო იაშვილმა გერმანული შეკრება წყვილი გოლით დაიწყო

გერმანულ შეკრებაზე მყოფმა თბილისის „დინამომ“ პირველი მატჩი გამართა. დინამოელები ობერლიგიდან წლეულს უდაბლეს ლიგაში გავარდნილ „ფორცაიმს“ შეხვდნენ და 5:1 სძლიეს. პირველი ტაიმი 0:0 დასრულდა. სხვათა შორის, დინამოელები 2002 წლის ივლისში, გერმანულ შეკრებაზე, ამ კლუბს უკვე ეთამაშნენ და მაშინ გაცილებით დიდი ანგარიშით გაიმარჯვეს — 10:0.

„დინამომ“ ამ შემადგენლობით ითამაშა: *ზოიძე (მამალაძე 71), შაშიაშვილი, სილაგაძე, ჭიჭვეიშვილი (სალუქვაძე 70), კვირკველია (ხმალაძე 71), კანკავა (კანდელაკი 65), კაშია (ალადაშვილი 47), რომერო (კაკალაძე 64), ახალაია, მელქაძე, იაშვილი (ვონჩაროვი 67).* დინამოელთაგან თავი ორ-ორჯერ მელქაძემ და იაშვილმა გამოიჩინეს, ერთხელაც კაკალაძემ გაიტანა.

დღეს თბილისელები 4-საათიანი მგზავრობის შემდეგ შვეიცარიაში გადავლენ და სასტუმრო „კროიცში“ დაბინავდებიან. ისინი „იანგ ბოიზ“ — „დინამოს“ (ბუქარესტი) მატჩს დაესწრებიან, ხვალ კი თავად დაუპირისპირდებიან „ბაზელს“. შეიცვალა ტურნირის რეგლამენტიც. მიუხედავად შედეგისა, დინამოელები მომდევნო შეხვედრას იმავე „იანგ ბოიზთან“ გამართავენ. შვეიცარიელებმა ეს იმით ახსნეს, რომ ამ ქვეყნის ჩემპიონატის სპეციფიკიდან გამომდინარე, შვეიცარიულ გუნდებს სეზონში ერთმანეთთან 4-6 თამაშის გამართვა უწევთ, ამიტომ მაყურებლის დასაინტერესებლად ასეთი გამოსავალი მოიძებნა. ასე რომ, საუკეთესო გუნდი ორი თამაშის მიხედვით დაგროვებული ქულებითა და ბურთების შეფარდებით გამოვლინდება. ტურნირზე ფრე გამორიცხულია: თუ 90 წუთის განმავლობაში ვერც ერთმა გუნდმა ვერ იმარჯვა, პენალტების სერია დაინიშნება.

დავით ერაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

კიევური კატლეტი პორტუგალიას ერგო

ამ უქმეებზე შვიდკაცას ევროპის სერიას კიევმა უმასპინძლა. ორიკვირისწინანდელი თბილისური ეტაპის მომგები საქართველოს ნაკრები უკრაინაში ფავორიტად ჩავიდა და ფინალამდეც თამაშ-თამაშ მივიდა, მაგრამ იქ ყველასთვის მოულოდნელად უშანსოდ დამარცხდა და მეორე ადგილს დასჯერდა.

ზაზა ლეჟავას გუნდის სიძლიერის აღიარებით კიევური ჟურნალგაზეთები ხალხის სტადიონზე მიყვანას ცდილობდნენ, აქაოდა, ევროპის უძლიერესი ნაკრები გვეწვია და მისი ნახვის შანსი ხელიდან გასაშვები არააო. მართლაც, პირველ დღეს ქართველებმა ისე ითამაშეს, ოთხ თანაჯგუფელს ქულაც არ დაანებეს. ავსტრიას 50:0 მოუგეს, ლუქსემბურგს 59:0, ხოლო მასპინძელთა ნაკრებს 24:0. კვირადღეც კარგად დაიწყეს, ნახევარფინალში ესპანეთს ოდენ ათი ქულა აკმარეს და ერთი თვის წინ ძლეულ პორტუგალიას ერთხელაც დაუპირისპირდნენ.

ფინალმაც არათანაბარ ბრძოლაში ჩაიარა, მაგრამ სამწუხაროდ, ქულები მხოლოდ პორტუგალიამ მიითვალა. მის გატანილ 52 ქულას ქართველებმა ოდენ ერთი გარდაუსახავი ლელოთი უპასუხეს და ტურნირი მეორე ადგილით დაასრულეს.

„მთავარი მიღწეულია, ჰონკონგის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის საგზური მოვიპოვეთ და რეიტინგიც ისე გავიუმჯობესეთ, 16-17 ივლისს პალმა დე მალიორკაში საუკეთესო ოთხეულში ვიქნებით განთესილნი, მაგრამ თუ გვინდა, რომ იქ საუკეთესო რვაში მოვხვდეთ, ნაკრებს აუცილებლად ხელი უნდა შევუწყოთ — გვითხრა უკრაინაში მყოფმა ევროპული შვიდკაცას ქართველმა ხელმძღვანელმა ზაზა ქასაშვილმა — ხელშეწყობა რომ ყოფილიყო, პორტუგალიის ძლევაც შეიძლებოდა. თბილისური ეტაპის შემდეგ ბიჭებს შეკრება უნდა გაევლოთ, მაგრამ ფედერაციამ ეს ვერ მოახერხა. მოუმზადებელმა გუნდმა კი მეტი ვერ შეძლო."

ქასაშვილისვე თქმით, ზაზა ლეჟავა თბილისში დაბრუნებისთანავე წარმოადგენს პალმა დე მალიორკის ეტაპისთვის მოსამზადებელ გეგმას და თუ მისი შესრულებმა მოხერხდა, წესით 2005 წლის მარტში ჰონკონგში მოხვედრაც არ უნდა გაჭირდეს.

ოთარ მაღლაკელიძე

სამხრეთი ინგლისის სახრეა

ჯერემი პოლს მაიკ ტინდალმა ლელოში ხელი ვერ შეუშალა

ავსტრალია 51:15 ინგლისი

(ბრისბეინი, ავსტრალია)

ავსტრალია: როფი, რეთბოუნი, მორტლოკი, ჟიტო, ტურიქი, ლარკემი, გრეგანი (კაპ), ლიონსი, ვოუ, სამო, შარპი, ჰარისონი, ბაქსტერი, ქანონი, იანგი
შეცვლაზე შევიდნენ: პოლი, დანინგი, ვიკერმანი, სმიტი, ჰენიაკი, ლატემი
ლელო: რეთბოუნი (3), პოლი (2), ტურიქი
3 გარდასახვა, 5 საჯარიმო: როფი
ინგლისი: ლიუისი, ვოისი, კატი, ტინდოლი, კოენი, ჰოჯსონი, გომარსალი, დალალიო (კაპ), ჰილი, ვორსლი, ბორსვიკი, გოუ, ვაითი, რეგანი, პეინი
შეცვლაზე შევიდნენ: ტომპსონი, გრინი — მ. ვორსლი, კორი, ლიპმანი, დოუსონი, ვოტერსი, ბარკლი
ლელო: ჰილი, დალალიო
გარდასახვა, საჯარიმო: ჰოჯსონი

ამას წინათ ვიუწყებოდით, რომ ინგლისის ნაკრების მწვრთნელმა თქვა, ჭკვიანი კაცი ფსონს ავსტრალიაზე ჩავაო. ჰოდა, ვინც დაუჯერა, იხეირა კიდეც. ინგლისმა კიდევ ერთი ტესტ-მატჩი ჩააგდო და ზელანდიასთან 2 მარცხის შემდეგ ავსტრალიელებს დანებდა.

სანუგეშოდ მხოლოდ ის შეიძლება ითქვას, რომ კუნძულელებმა როგორც იქნა, ლელოს გატანის გამო გაიხსენეს. ის, რაც ახალზელანდიელებთან 160 წუთის განმავლობაში ვერ შეძლეს, ავსტრალიელებთან მატჩში 2-ჯერ გააკეთეს; თუმცა ორი ლელო გამარჯვებისთვის საკმარისი არ აღმოჩნდა. „ვოლაბებმა" ინგლისელებს 6 ლელოთი უპასუხეს და სამის შემდეგ გარდასახვები რომ არ გაეფუჭებინათ, ანგარიში კიდევ უფრო შთამბეჭდავი იქნებოდა: თუმცა ავსტრალიელი ქომაგისთვის არც 21-ქულიანი სხვაობით მოგება უნდა იყოს გულდასაწყვეტი, მით უმეტეს, რომ მათ გუნდს ინგლისისთვის 1998 წლის შემდეგ აღარ მოეგო.

და მაინც, პირველი ტაიმი შედარებით თანაბარ ბრძოლაში მიდიოდა. ინგლისი საკმაოდ ბევრს უტევდა, მაგრამ დაბოლოებისას სცოდავდა, ავსტრალიელებმა კი, ფაქტობრივად, ყველა შანსი გამოიყენეს, თუ გარდასახვას არ ჩავთვლით. ინგლისმა პირველ ტაიმში ერთი ჯარიმა და ერთიც გარდაუსახავი ლელო მიითვალა. მეორე ტაიმში კი ავსტრალიელებმა აშკარად დაჩაგრეს მეტოქე. „ვოლაბების" ჯარიმას ევროპელებმა ლელოთი უპასუხეს და 24:15-ზე თითქოს იმედიც გაუჩნდათ, თუმცა ეს იყო და ეს.

ავსტრალიელთაგან გამოსარჩევი კლაიდ რეთბოუნი გახლდათ, რომელმაც ჰეთ ტრიქი შეასრულა. 2 ლელო შეცვლაზე შესულმა ჯერემი პოლმა დადო, ერთიც ლოტე ტუქირიმ. როფმა 3 გარდასახვა და 5 ჯარიმა შეასრულა ზუსტად.

ინგლისელთაგან ლელოები რიჩარდ ჰილმა და ლოურენს დალალიომ გაიტანეს, თითო ჯარიმა და გარდასახვა კი ჰოჯსონმა.

ახალი ზელანდია 41:7 არგენტინა

(ჰამილტონი, ზელანდია)

ახ. ზელანდია: ევანსი, მულიაინა, უმაგა, ტუიტუპუ, როკოკოკო, მერტენსი, კელეჰერი, ტუიალიი, მაკოუ, კოლინსი, მალინგი, ჯეკი, სომერვილი, ჰორი, ვუდკოკი
შეცვლაზე შევიდნენ: მეალამუ, მიიუსი, გიბსი, ჰოლა, მარშალი, სპენსერი, კარტერი
ლელო: ტუიალიი, უმაგა, როკოკოკო, ტუიტუპუ, მულიაინა
5 გარდასახვა, 2 საჯარიმო: მერთენსი
არგენტინა: სენილოსა, ბორხესი, არამბურუ, კონტეპომი, კორა, ხ. ფერნანდეს მირანდა, ნ. ფერნანდეს მირანდა, ლონგო (კაპ), ოსტილია, ტურანდი, ლობე, ალბასეტე, ჰასანი, ლედესმა, რონკერო
შეცვლაზე შემოვიდნენ: მენდეზი, გინაზუ, ბუზა, შუსტერმანი, ალბინა, ბუსტოსი, ბოში
ლელო: სენილოსა
გარდასახვა: არამბურუ

არგენტინელებმა უელსის ნაკრებს უმასპინძლეს და მერე ახალი ზელანდიისკენ გაეშურნენ. ძირითადი შემადგენლობის გადაღლის გამო „შავებს" თითქმის მთლიანად სათადარიგოებით ესტუმრნენ. თავის მხრივ, არც ზელანდიელებს ჰყოლიათ უძლიერესი შემადგენლობა, მაგრამ მატჩი მაინც კარგი სანახავი გამოდგა. ორივე გუნდი ღირსეულად იბრძოდა და სამხრეთამერიკელებს ცოტა იღბალიც რომ წახმარებოდათ, იქნებ ნაკლებითაც წაეგოთ.

პირველი ლელო ახალმა ზელანდიამ დადო, სტუმრებმა ანგარიში მალევე გაათანაბრეს. როგორც მერე გაირკვა, პირველად და უკანასკნელად.

ახალზელანდიელთა ლელოები კი ტუიალიიმ, უმაგამ, როკოკოკომ, ტუიტუპუმ და მულიაინამ გაიტანეს. ხუთჯერვე მერთენსმა გარდასახა და ზედ ორი საჯარიმოც დაამატა.

სამხრეთ აფრიკა 53:18 უელსი

(პრეტორია, სამხ. აფრიკა)

სამხ. აფრიკა: მონტგომერი, პაულსი, იუბერტი, იულიისი, რასელი, ვანდერვესტჰიუზენი, დუპრე, ჟ. კრონხე, ვანენბურგი, ბურგერი, მეტფილდი, დავიდსი, რაუტენბახი, სმიტი (კაპ), დურანი
შეცვლაზე შემოვიდნენ: მენცი, დიუტუ, კონრადი, გ. კრონხე, ბრიტცი, ენდრიუსი
ლელო: რასელი (2), სმიტი, პაულსი, იულიისი, კონრადი, ბურგერი
6 გარდასახვა, 2 საჯარიმო: მონტგომერი
უელსი: ჰენსონი, ლუსკომბი, პარკერი, შანკლინი, შ. ვილიამსი, რობინსონი, პილი, პოპემი, ჩარვისი (კაპ), დვ. ჯონსი, ლიუველინი, დ. ჯონსი, ა. ჯონსი, დევისი, ჯენკინსი
შეცვლაზე შემოვიდნენ: სვინი, ბენეტი, ტომასი, მორისი, დუნკან ჯონსი
ლელო: პილი, შ. ვილიამსი
გარდასახვა, 2 საჯარიმო: ჰენსონი

ანგარიშმა არ მოგატყუოთ და არ იფიქროთ, რომ უელსი ტოლ-სწორად ეტოქა სამხრეთაფრიკელებს. მოედანზე მხოლოდ ერთი ნაკრები იყო — სამხრეთ აფრიკა.

გამარჯვებაში ეჭვს ცოტა ვინმე თუ შეიტანდა, მაგრამ ასეთი უპირატესობა მაინც მოულოდნელი იყო.

უელსი თავს იცავდა, აფრიკელები კი მთელი მატჩის განმავლობაში უტევდნენ და დაბოლოებისას ცოტა ყურადღებით რომ ეთამაშათ, ანგარიში უფრო კატასტროფული იქნებოდა.

2 ლელო რასელმა გაიტანა, თითოც პაულსმა, იულიისმა, კონრადიმ, ბურგერმა და სმიტმა. მონტგომერიმ კი 6 გარდასახვა და ჯარიმა შეაგდო.

უელსელთაგან პილმა და შეინ ვილიამსმა დადეს ლელოები, გარდასახვა და 2 ჯარიმა კი ჰენსონმა მიწერა.

ლადო ფულუკიძე

ჯონ სმიტი უელსური ფეხების ალყაში

უიმბლდონი 2004

ლონდონი. ბალახი. საპრიზო 9 707 280 გირვანქა სტერლინგი

ჟუჟუნამდე და ნაჟუჟუნევს

კაცები
მეორე წრე

ენდი როდიკი (2, აშშ) — ალექსანდრ პეია (ავსტრია) 6:3, 7:6 (7:2), 6:4; ფლორიან მაიერი (გერმანია) — გილერმო კორია (3, არგენტინა) 4:6, 6:3, 6:3, 6:4; ტიმ ჰენმანი (5, ბრიტანეთი) — ივო ჰობერგერი (შვეიცარია) 7:5, 6:3, 6:2; რბინერ შუტლერი (8, გერმანია) — გრეგ რუზეიკი (ბრიტანეთი) 6:7 (5:7), 7:6 (12:10), 6:7 (5:7), 6:2, 6:2; მარკ ფილიპუსისი (11, ავსტრალია) — მარტინ ფერკერკი (ჰოლანდია) 4:6, 6:3, 7:6 (7:5), 7:5; სხენგ შალკენი (12, ჰოლანდია) — ტოდ მარტინი (აშშ) 6:3, 6:2, 4:6, 6:3; კაროლ ბეკი (სლოვაკეთი) — ტომი რობრედო (20, ესპანეთი) 6:3, 6:2, 7:6 (7:2); ტომას ენკვისტი (შვედეთი) — ხუან იგნასიო ჩელა (21, არგენტინა) 6:3, 6:7 (4:7), 6:1, 3:6, 6:3; კენეტ კარლსენი (დანია) — ანდრეი პაველი (22, რუმინეთი) 7:6 (11:9), 6:4, 6:3; ფერნანდო გონსალესი (24, ჩილე) — იგორ ანდრეევი (რუსეთი) 7:5, 6:3, 5:7, 6:7 (4:7), 6:3; დომინიკ ჰრბატი (25, სლოვაკეთი) — მარკ ჰილტონი (ბრიტანეთი) 7:5, 6:4, 6:2; ტაილორ დენტი (26, აშშ) — სტეფანო პეს-კოსოლიდო (იტალია) 6:3, 6:3, 7:6 (7:3); ვინს სპადია (30, აშშ) — ფელიქს მანტია (ესპანეთი) 6:1, 6:2, 6:2; ჰიშამ არაზი (32, მაროკო) — დავიდ ფერერი (ესპანეთი) 6:7 (5:7), 6:4, 6:3, 7:6 (9:7); უეინ ფერეირა (სამხრეთ აფრიკა) — კაროლ კუჩერა (სლოვაკეთი) 7:6 (7:3), 6:3, 6:1; ივო კარლოვიჩი (ხორვატია) — ჟილ ელსენერი (ბელგია) 6:4, 6:4, 3:6, 7:6 (16:14); ძსავიე მალისი (ბელგია) — ტომას ჰაასი (გერმანია) 3:6, 6:3, 6:2, 6:4; მარიო ანჩიჩი (ხორვატია) — ჟულიენ ბენეტო (საფრანგეთი) 4:6, 7:6 (10:8), 6:2, 5:7, 6:4

მესამე წრე

ლეიტონ ჰიუიტი (7, ავსტრალია) — გორან ივანიშევიჩი (ხორვატია) 6:2, 6:3, 6:4; კარლოს მოია (9, ესპანეთი) — დმიტრი ტურსუნოვი (რუსეთი) 6:1, 6:4, 7:5; სებასტიან გროუანი (10, საფრანგეთი) — ჟან-მაიკლ გემბილი (აშშ) 7:6 (7:5), 6:3, 6:2; როჯი ჯინეპორი (22, აშშ) — ხუან კარლოს ფერერო (6, ესპანეთი) 6:3, 6:4, 6:1

ქალები
მეორე წრე

სერენა უილიამსი (1, აშშ) — სტეფანი ფორე (საფრანგეთი) 6:0, 6:4; ამელი მორესმო (4, საფრანგეთი) — ჯენიფერ ჰოპკინსი (აშშ) 6:3, 6:3; ჯენიფერ კაპრიატი (7, აშშ) — ელენა ბალტაჩა (ბრიტანეთი) 6:4, 6:4; პაოლა სუარესი (9, არგენტინა) — ელს კალენსი (ბელგია) 6:2, 6:2; ნადია პეტროვა (10, რუსეთი) — მარია ვენტო-კაბჩი (ვენესუელა) 6:3, 3:6, 6:2; სილვია ფარინა ელია (14, იტალია) — სილვია ტალაია (ხორვატია) 6:3, 6:3; ემანუელე გალიარდი (შვეიცარია) — პატი შნიდერი (15, შვეიცარია) 2:6, 7:6 (7:4), 6:2; ტატიანა გოლოვინი (საფრანგეთი) — ფრანჩესკა სკიავონე (18, იტალია) 6:1, 6:0; ნატალი დეში (25, საფრანგეთი) — მარია სანჩეს ლორენსო (ესპანეთი) 6:1, 6:1; ლუდმილა ჩერვანოვა (სლოვაკეთი) — ლიზა რეიმონდი (26, აშშ) 6:4, 6:3; მეგან შონესი (32, აშშ) — ნურია ლიაგოსტერა ვივესი (ესპანეთი) 6:4, 4:6, 10:8

მესამე წრე

ემი ფრეზერი (31, აშშ) — ანასტასია მისკინა (2, რუსეთი) 4:6, 6:4, 6:4; ლინდსი დევენპორტი (5, აშშ) — ტატიანა პანოვა (რუსეთი) 6:2, 6:1; აი სუგიამა (11, იაპონია) — მარიონ ბარტოლი (საფრანგეთი) 6:1, 6:2; ვერა ზვონარიოვა (12, რუსეთი) — ხისელა დულკო (არგენტინა) 6:4, 6:2; მარია შარაპოვა (13, რუსეთი) — დანიელა ჰანტუხოვა (სლოვაკეთი) 6:3, 6:1; ტამარინე ტანასუგარნი (ტაილანდი) — ალიშა მოლიკი (27, ავსტრალია) 6:2, 6:4

ჩვენ მიერ მიმოუხილავ პარასკევ დღეს რა მოხდა და, ტურნირიდან ერთბაშად რამდენიმე მთავარგანთესილი მეჩოგნე აბარგეს. თუკი ლეიტონ ჰიუიტისგან 32 წლის გორან ივანიშევიჩის ძლევას მრავალი ელოდა, გილერმო კორიას (3), ხუან კარლოს ფერეროსა (6) და ანასტასია მისკინას (2) ოტება მაინც დასტურ სენსაციები გახლდათ, ოღონდ ამათგანაც ზოგი — მეტად, ზოგიც — ნაკლებად.

2002 წლის ჩემპიონმა ჰიუიტმა მისწინანდელი ჩემპიონი ივანიშევიჩი საათსა და 26 წუთში დაიმორჩილა. ხორვატს მაინცდამაინც არც უბრძოლია — თითქოს უკვე შეგუებულიც იყო, კარიერის უკანასკნელი მატჩი სიმბოლურად სწორედ უიმბლდონის მისმომდევნოდ მომგები კაცისთვის რომ უნდა დაეთმო.

დიახ, 16-წლიანი კარიერისას 22 საერთეულო ტიტულისა და 20 მილიონამდე დოლარის მომხვეჭ ხორვატს ნათქვამი ჰქონდა, რომ ნაამუიმბლდონევს ჩოგანი დედაბოძზე უნდა ჩამოეკიდა. ჰქონდა და აასრულა კიდეც.

საჩოგნეთმა მისი სახით ლამის უკანასკნელი პიროვნება დაკარგა, კაცი, რომელსაც შეეძლო, ტრიბუნაზე საათობით მჯდომი ქომაგისთვის ოფლიანი განდაგანები შუშპარა, დიდხანს გასაყოლებელ სანახაობებად ექცია. ერთ-ერთ ასეთად მილეთს ყოველთვის ემახსოვრება მისი და პატ კეშის სამი წლის წინანდელი ფინალი, რომლის მოგებამაც ხორვატი „ოლ ინგლანდ კლაბის“ მარად სასურველ სტუმრად და ფავორიტად აქცია.

„მე ახლა ერთდროულად ბედნიერიც ვარ და სევდიანიც — ამბობდა ის ნამატჩევს — სევდიანი იმიტომ, რომ აქედან მივდივარ. ბედნიერი კი იმიტომ, რომ დღეიდან უკვე აღარასოდეს მომიწევს ვარჯიში.“

ახლა სხვებზეც.

გილერმო კორიას, ვინაც წლეულს პირველად გადალახა უიმბლდონობის პირველი წრე, მეორეში ჩოგანი გერმანელმა დებიუტანტმა, ფლორიან მაიერმა დააშალითებინა. ეს ამბავი მაინცდამაინც არც არავის გაჰკვირვებია, რაკიღა ჯიშად მეთიხნარე არგენტინელმა ბალახზე მოგების გემო მხოლოდ ზედ უიმბლდონობის წინ, დენბოსხურ ტურნირზე გაიგო და, მართალია, მერე ფინალამდეც მივიდა, მეტის პრეტენზია არც იქ უნდა ჰქონოდა და არც აქ.

ფერერომ კი წინა დღეს ხუთსეტიანი მომქანცველი მარათონი გადაიტანა და ამის გამო ამერიკელ რობი ჯინეპრის მხოლოდ 80 წუთი გაუძლო. მისგან რაღაც განსაკუთრებულს ასევე არავინ ელოდა და ეს უწინარესად არა იმის გამო, რომ კორიას დარად ჯიშად მეთიხნარეა, არამედ იმისა, რომ ბოლო თვეები უმთავრესად ტრავმიანობდა.

ასევე გადაღლილობით ახსნა თავისი მარცხი წლევანდელი როლანგარისობის ტრიუმფატორმა ანასტასია მისკინამაც, რომელმაც გვიან ხუთშაბათს სამსეტიანი ბულრაობისას დახარჯული ენერგია ვეღარ აღიდგინა და უზადოდ მოჩოგნავე ემი ფრეზერს დანებდა.

სხვათა შორის, მისკინას გაბუნძულება იმასაც ნიშნავს, რომ რუსებს სამი მთავარგანთესილიდან — მისკინა, დემენტიევა და კუზნეცოვა — ტურნირზე ერთიც აღარ დაურჩათ. ახლა მთელი მათი იმედები 17 წლის ლოლომარწყვა მაშა შარაპოვაზეა, ვინაც იმ დღეს საოცრად შთამბეჭდავად შემუსრა მისებრ წანწკლა გოგო დანიელა ჰანტუხოვა.

ისევ ჟუჟუნა

შაბათს კორტებზე ისევ მხოლოდ ერთი მოთამაშე დათარეშობდა — ლონდონური ჟუჟუნა, რომლის გულისგამაწვრილებელმა ჟინქვლამ მეჩოგნეები მთელი დღე გასახდელებში აყურყუტა, ორგანიზატორები — ნემსებზე, ხოლო ქომაგები — აქეთ-იქით პულტაობასა და კარგად მივიწყებული ფილმების ცქერაში.

რაღა ბევრი გავაგრძელოთ, ისეთი რამ, ტურნირზე სრული ორი დღე ჩავარდნილიყოს (პირველი, გეხსომებათ, ოთხშაბათი წაგვემურდლა), უიმბლდონობაზე სულ მეოთხედ მოხდა. აქამდე ასევე ორორი დღე 1909 და 1997 წლების პირველობებზე ჩარეცხილა, 1888-ში კი სტიქიამ სულაც სამი დღე წაიღო.

სხვაფრივ — უიმბლდონის ისტორიაში ეს მთლიანად წამურდლული 32-ე დღე იყო. და ასევე გამოსარჩევია ისიც, რომ ტურნირის შუა კვირას თამაშები აქამდე მხოლოდ ორჯერ, 1991 და 1997 წლებში გამართულა. სხვა წლებში კი შუა კვირას, როგორც წესი, ყველა ვისვენებთ.

ჟუჟუნა, დაგვანებე თავი!

საფიხვნოს თემა: უილიამსდები

მარტინა ნავრატილოვა თვლის, რომ უილიამსდებს — ვინუსსა და სერენას დაუმარცხებლობის აურა შემოეძარცვათ.

„ჰო, ეს აურა აღარც ერთს აღარ შერჩა — ამბობს 47 წლის დიადი მეჩოგნე — განსაკუთრებით კი ვინუსს, რომელმაც საკუთარ თავში რწმენა დაზე ადრე დაკარგა. ხოლო, როცა ასეთი რამე გემართება, ყველა მყისვე ხვდება, რომ შენი დამარცხება უკვე შესაძლებელია.“

„მოგება და წაგება ჩვევაა. მოგების ჩვევა, რაიც ვინუსს ჰქონდა, გაქრა და მასთან ერთად გაქრა დაუმარცხებლობის აურაც.“

„ჩემი აზრით, ეს ჩვევა მას მაშინ გაუქრა, როცა ზედიზედ დამარცხდა სერენასთან — წინა ორი უიმბლდონობის ფინალსა და კიდევ სამ სლემფინალშიც. არ ვიცი, რამდენად ფიქრობდა ან ფიქრობს ამაზე ვინუსი, მაგრამ იმაში კი დარწმუნებული ვარ, რომ ამ დამარცხებებმა მასზე საოცრად დამრთგუნველად იმოქმედა, იმაზე მეტად, ვიდრე ის შეიძლება ამას თავად აცნობიერებდეს.“

„ადრე შეეძლოთ, ჭირსა შიგან გამაგრებულიყვნენ და სადავეები უკუეპყროთ, მაგრამ ახლა მათ ეს უკვე აღარ შეუძლიათ. და რა მნიშვნელობა აქვს, როგორ და რანაირად იუმანებენ, უკვე ჩარჩის შემოტრალებს ზედ აღარ გაცვამ, ეს აღარავის სჯერა. მაშინ უბრალოდ კვამლის ბოლქვი ხარ და ხალხიც დიდხანს აღარ ტყუვდება.“

„დაუმარცხებლობის აურას მხოლოდ გამარჯვებით ინარჩუნებ. საამისოდ კი საჭიროა, რომ ჩოგბურთი შენი ცხოვრების ერთადერთი საქმე იყოს. შეიძლება, რაღაც სხვა ჰობიც გქონდეს, რომელსაც სადღაც დღის ბოლოსკენ მიხედავ ხოლმე, მაგრამ შეუძლებელია, შენს საჩოგბურთო აქტივობას შენი ჰობების მერე გეგმავდე.“

„ვიმეორებ, შეიძლება, ჩოგბურთის გარდა სხვა რამეც გაინტერესებდეს, მაგრამ ჩოგბურთი ყველა შემთხვევაში უპირველესი უნდა იყოს. ის ყველაზე მნიშვნელოვანი რამ უნდა იყოს შენს ცხოვრებაში, მე კი ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ ვინუსისა და სერენას ცხოვრებაში ის ყველაზე მნიშვნელოვანი რამ სულაც არ არის.“

„დამარცხებამ უკვე მოაკითხა ვინუსს და შეიძლება მალე სერენასაც მიაკითხოს. თუმცა იმედი მაქვს, რომ ისინი აზრზე მოსვლას კიდევ შეძლებენ.“

ყველა დროის ლამის უტიტულოვნესი ქალმეჩოგნის ამ კომენტარებს მყისვე შეეხმიანა უილიამსდათა მამილო რიჩარდი. მარტინა ბიცოლასგან განსხვავებით მამა რიჩი აღტაცებას ვერ მალავს იმის გამო, რომ მის გოგონებს ჩოგბურთის გარდა სხვა რამეებიც აინტერესებთ.

„ჩოგბურთი მათთვის ყველაფერი არ არის და არც არასოდეს იქნება — ამბობს ის — ჩოგნის ქნევის გარდა ისინი ახლა კიდევ ბევრ რამეს აკეთებენ და ვფიქრობ, რომ ეს ძალიან სწორია. თუკი ეს ნიშნავს, რომ ისინი ვეღარ თამაშობენ ისეთ ჩოგბურთს, ადრე რომ შეეძლოთ, გარწმუნებთ, ოჯახი ამაზე სულაც არ დარდობს, ჩვენ მაგ ამბავს ოკეი და რამე ვუყურებთ.“

„მე მათ ყოველთვის ამას ვურჩევდი, ვეუბნებოდი, რომ ცხოვრება მხოლოდ კორტით არ შემოიფარგლება და რომ ჩოგბურთის გარდა მათ კიდევ სხვა საქმეებსაც უნდა მიხედონ. ალალად მიხარია, რომ ჩემს რჩევებს ორივემ მისდია. ორივეს აინტერესებს დიზაინი, სერენა კი უკვე მსახიობობაზეც ფიქრობს.“

„ჩემთვის ზოგჯერ ძალიან ძნელი გასაგებია, თუ როგორ შეიძლება მშობელმა თავის შვილი მხოლოდ ჩოგბურთელობისთვის გამოიმეტოს. თუკი გინდა, რომ ყოველმხრივ განვითარებული ადამიანი იყო, შეუძლებელია, მხოლოდ ჩოგბურთზე, ჩოგბურთზე, ჩოგბურთზე ფიქრობდე.“

„იმის მიუხედავად, რომ ნავრატილოვას დარ ჩემპიონებს ვეთაყვანები, სულაც არ მინდა, ჩემმა გოგონებმა ოდესმე მასსავით 47 წლისებმა ხელახლა დაიწყონ თამაში. თუკი ისინი ჩოგნებს გადადებენ, მინდა, რომ ხელი მათ აღარასოდეს მოკიდონ. იმედი მაქვს, არასოდეს მოიქცევიან ისე, როგორც მოკრივეები. ისინი უბრალოდ ძალიან ბწრყინვალენი არიან საიმისოდ, რათა ჩოგნის ქნევა მარადიულად არ განაგრძონ.“

უკომენტაროდ.

ლევან კელაურაძე

წავიდა. გორან ივანიშევიჩი ჩოგბურთს უიმბლდონზე გამოემშვიდობა

მილუოკი: ფაჩულიას შეუძლია და დაგვეხმარება კიდეც



ლარი ჰარისი

„ორლანდოდან“ ახალშექმნილ „შარლოტ ბობქეთსში“ წაყვანილმა და შემდეგ „მილუოკიში“ გაშვებულმა ზაზა ფაჩულიამ, როგორც ჩანს, საბოლოოდ მიაგნო იმ კლუბს, სადაც მომავალ სეზონს გაატარებს. მილუოკელთა გენერალური მენეჯერი ლარი ჰარისი არც მაშინ მალავდა ქართველისადმი სიმპათიას, როცა ფაჩულია ამ წლის დრაფტზე 45-ე არჩევნის უფლების სანაცვლოდ „შარლოტიდან“ წამოიყვანა, ხოლო გუშინწინ „ხარირემთა“ საგანგებო პრესკონფერენციაზე კიდევ უფრო დიდი ინტერესი გამოიჩინა ჩვენებურის მიმართ და დაადასტურა, ფაჩულია „მილუოკიში“ დარჩებაო...

ლარი ჰარისი, „მილუოკის“ გენერალური მენეჯერი:

— ყველამ იცის, რომ ჩვენს გუნდს დახმარება სჭირდება და ვფიქრობთ, ზაზა ფაჩულია ამას მოახერხებს. მე არ ვაპირებ გუნდის მწვრთნელ ტერი პორტერზე ზეწოლის მოხდენას, გინდა თუ არა, ფაჩულია ათამაშეო, მან თავად იცის, რომ ზაზა უნარიანი კალათბურთელია, ვინც უკვე დაიმკვიდრა თავი ნბა-ში. ჩვენ გვჭირდება მეტი სტაბილურობა წინა ხაზში — 4 და 5 ნომრებზე, ფაჩულიას კი ამ ორივე პოზიციაზე თანაბარი წარმატებით შეუძლია თამაში...

ფაჩულიას ჰქონდა კარგი თამაშები „ორლანდოში“. მახსოვს, როცა ჩემს დაბადების დღეს, 19 იანვარს, „მეჯიქსს“ ვხვდებოდით, ზაზამ იმ მატჩში თამაში ძირითადში დაიწყო და 11 ქულა ჩაგვიგდო. მას აქვს მშვენიერი ფიზიკური მონაცემები და თან ახალგაზრდაა. ფაჩულიას რომ ვუყურებ, სულ არ მენაღვლება დრაფტის 45-ე არჩევნის უფლება, რომელიც „შარლოტს“ დავუთმეთ ქართველის სანაცვლოდ...

ფაჩულია იმიტომაც ავიყვანეთ, რომ მას ნბა-ში თამაშის ერთწლიანი გამოცდილება აქვს. ხუმრობა არაა, დრაფტის 42-ე რჩეულმა 59 მატჩში ითამაშო და თითოეულში საშუალოდ 11 წუთს ატარებდე მოედანზე. ამასთან, ზაზა ქულებსაც იხვეჭდა და მოხსენებასაც აგროვებდა — ეს უკვე საკმოდ ბევრს ნიშნავს. ყველაფერთან ერთად ფაჩულიას ევროპის ერთ-ერთ წამყვან ლიგაში თამაშის ხანგრძლივი გამოცდილება უმაგრებს ზურგს, თურქეთში იგი 15 წლიდან პროფესიულ კალათბურთში იყო. ყველაფერი ეს იმედს გვაძლევს, რომ ფაჩულიას ჩვენს გუნდში დამკვიდრება არ გაუჭირდება...

ვიმედოვნებ, რომ ზაზა 1 ივლისს უკვე ჩვენთან იქნება და საზაფხულო ლიგაში სათამაშოდ მოემზადება. ზაზასთან ერთად კემპზე იქნებიან მისი თანაამპლუელებიც — დან გაძურიჩი, მარკუს ჰაისლიპი და შარშანდელ დრაფტში 35-ე ნომრად არჩეული შიმონ შევჩიკი.



ზაზა ფაჩულია

ეროვნული ბიბლიოთეკა

ირალი პერტაია

ამერიკული ყინული წითლდება რუსები მოდიან



ბედნიერი „ივანუშკები“: ალექსანდრ ოვეჩკინი და ევგენი მალკინი

რას გაუგებ რუსებს, 11 წელია, კინკილა ტიტული არ მოუგიათ, თუმც მსოფლიოს ლამის ყოველ წელს ჩუქნიან ვუნდერკინდებს — ამის დასტური შაბათს კაროლინაში გამართული დრაფტიც გახლდათ.

ასეთი რამ ისტორიას არ ახსოვს. 34 წლის განმავლობაში, რაც ნჰლ-ში დრაფტი იმართება, ევროპის ერთი ქვეყნის წარმომადგენლები ერთბაშად პირველ-მეორე ნომრებად არასდროს აურჩევიათ. ეს პატივი, მიხვდებოდით, წლეულს რუსებს ერგოთ — ალექსანდრ ოვეჩკინს და ევგენი მალკინს.

დრაფტისწინა რეიტინგებში ეს ორი ყმაწვილი დიდი უპირატესობით უსწრებდა ყველა კონკურენტს და ცერემონიალმა ეს ოფიციალურად დაადასტურა. თან ამ ორ ჯელს შორის უპირატესობას ოვეჩკინს ანიჭებდნენ და არავის ეპარებოდა ეჭვი, რომ ყველაზე წინ მას აირჩევდნენ. ასეც მოხდა, პირველი არჩევნის მფლობელმა „ვაშინგტონმა“ უყოყმანოდ აიყვანა მოსკოვის „დინამოს“ 18 წლის მარცხენა გარემარბი. ოვეჩკინს ბრწყინვალე ტექნიკისა და შემტევი პოტენციალის გამო ილია კოვალჩუკს ადარებენ, რომელიც თავის დროზე ასევე პირველ ნომრად აირჩიეს დრაფტზე. თუმც სპეციალისტები ოვეჩკინს უფრო დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებენ, ვინაიდან ის გაცილებით შრომისმოყვარეა და გუნდური თამაშიც უკეთ ეხერხება.

„ლამის 15 გუნდი დაგვდევდა, სურდათ, ოვეჩკინზე უფლება მიგვეყიდა, მაგრამ ყველა უარით გავისტუმრეთ. ასეთი შანსი ხშირად როდი გეძლევა“ — თქვა ვაშინგტონის გენერალურმა მენეჯერმა ჯორჯ მაკფიმ.

ოვეჩკინის მსურველნი მართლაც ბლომად იყვნენ. განსაკუთრებით მეორე და მესამე არჩევნის მქონე გუნდები აქტიურობდნენ — „პიტსბურგი“ და „ჩიკაგო“, მაგრამ „ვაშინგტონი“ არ გატყდა, ყველანაირ გარიგებას აარიდა თავი. „პიტსბურგს“ რაღა დარჩენოდა, მალკინი აირჩია, თუმც უკმაყოფილო არც ამით უნდა იყოს, მას სწორედ ისეთი მოთამაშე შეხვდა, როგორსაც ეძებდა. მალკინს თვით „პიტსბურგის“ ლიდერსა და მფლობელს მარიო ლემიეს ადარებენ. ისიც ცენტრფორვარდია და სწორედ მარიოსთვის ჩვეული თამაშის მკეთებლის ნიჭით გამოირჩევა.

მალკინი მომავალ სეზონში არ აპირებს ნჰლ-ში გადასვლას და კვლავ რუსეთში დარჩენას ამჯობინებს იმის მიუხედავად, რომ ამით სუპერმარიოსთან ერთად ყინულზე გასვლის შანსი ხელიდან ეცლება.

„ცხადია, ვოცნებობ ლემიესთან თამაშზე, მაგრამ ალბათ ეს მისი ბოლო სეზონი იქნება და ამ ოცნებას ახდენა არ უწერია“ — თქვა დრაფტის ცერემონიალზე ევგენიმ.

ახლა კი ორიოდ სიტყვა რუსთა მომდევნო რამდენიმე მოთამაშეზეც, ვინ იცის, მომავალში ეგებ მათაც აალაპარაკონ მსოფლიო.

მესამე ნომრის მფლობელმა „ჩიკაგომ“ ზედიზედ მესამე სეზონშიც მცველი არჩია, 18 წლის ამერიკელი კამერონ ბარკერი, რომელიც ძლიერი დარტყმით და ძალისმიერი თამაშით გამოირჩევა. ბარკერი თავად აღიარებს, რომ ძალიან უნდა, „ნიუ ჯერსის“ უკანახაზელ სკოტ სტივენსის დონეს მიაღწიოს, რომელსაც ადარებენ კიდეც ოკეანგაღმელი სპეციალისტები.

ცერემონიალის მასპინძელმა „კაროლინამ“ მეოთხე ნომრად გარემარბი ენდრიუ ლადი აირჩია, რომელსაც საპლეიოფო მოთამაშედ მიიჩნევენ და მებრძოლ სულისკვეთებასაც დიდად უქებენ.

მეხუთე ნომრად „ფინიქსს“ ასევე გარემარბი ბლეიკ უილერი ერგო, ხოლო ყველაზე მაღალი ნომრით აყვანილი მეკარე ამერიკელი ელ მონტოია იყო, რომელსაც „რეინჯერსმა“ თავისი მეექვსე არჩევანი დააბარჯა. საინტერესოა, რომ მონტოია პირველი კუბელია, რომელსაც ნჰლ-ში ასპარეზობის შანსი მიეცა.

მთლიანობაში პირველ რაუნდში არჩეული 30 ჰოკეისტისგან 13 ევროპელია, აქედან 4 ჩეხი და სამ-სამი რუსი და ფინელი.

სამველ ღარიბიანი

მსოფლიოს ჩემპიონატი

ლიბია, ტრიპოლი 18 ივნისი — 13 ივლისი

IV ეტაპი

კასპაროვი ბრიტანულ ოზოზას ძლია

მეთექვსმეტედფინალში მოთამაშე ცხრა რუსიდან მომდევნო ეტაპზე მხოლოდ ოთხმა გააღწია, თუმც ამ ხუთკაციანი ზარალის მიუხედავად, მერვედფინალში მათ მაინც ყველაზე მეტი წარმომადგენელი ჰყავთ, დარჩენილ 15 ქვეყანას კი მხოლოდ თითო მოთამაშე შერჩა. მეთექვსმეტედფინალის ყველაზე ნორჩმა დიდოსტატმა, 16 წლის გაამერიკელებულმა იაპონელმა ჰიკარუ ნაკამურამ ზურაბ აზმაიფარაშვილის გამომგდები რუსი ალექსეი ლასტინი 1,5:0,5 დაამარცხა და მერვედფინალში ერთ-ერთ ფავორიტს ინგლისელ მაიკლ ადამსს დაუპირისპირდა.

მოგეხსენებათ, ამ ტურნირის მთავარი მიზანი გარი კასპაროვის მეტოქის გამოვლენაა და მსოფლიოს მე-13 ჩემპიონიც დიდი ყურადღებით ადევნებს თვალყურს გათამაშებას.

„ნაკამურა კარგად თამაშობს, მაგრამ ახლა საკმაოდ ძლიერ ობობასთან მოუწევს ბრძოლა“ — თქვა კასპაროვმა ახალგაზრდა ამერიკელზე, რომელიც სპეციალისტებმა უკვე მონათლეს ჩემპიონატის აღმოჩენად. ხოლო რაც შეეხება ობობას, ეს თიკუნი ადამსს ერთმა რუსმა კომენტატორმა შეარქვა, როცა მის პარტიებს უყურა. ინგლისელი დიდოსტატი თავის მოწინააღმდეგეებს პოზიციურ ქსელში აბამსო, თქვა მან ადამსზე.

გარდა ნაკამურას ქებისა, კასპაროვმა პროგნოზებიც გააკეთა და ნახევარფინალის სავარაუდო წყვილებიც დაასახელა — ბულგარელი ვესელინ ტოპალოვი რუს ალექსანდრ გრიშჩუკს შეხვდება, ადამსი კი რუს ევგენი ბარეევს ან აზერბაიჯანელ თეიმურაზ რაჯაბოვსო.

ახლა კი ცოტა ნაკამურა — ადამსის პირველ შეხვედრაზეც ვთქვათ, სადაც ინგლისელმა დიდოსტატმა მართლაც რომ მახეში გააბა ახალგაზრდა ამერიკელი.

პარტია ნაკამურამ ლაზიერის გამბიტით დაიწყო და მეტოქეებმაც ყურადღება ფლანგისკენ გადაიტანეს. ინგლისელი C ხაზის გაძლიერებას შეუდგა, იქ ორი ეტლი გაამაგრა და მოწინააღმდეგის ფლანგებს დაუმიზნა. ალბიონელის გადაადგილებები, ცხადია, ამერიკელს უყურადღებოდ არ დაუტოვებია, ამავე ხაზზე მომართულ მტრის „არტილერიას“ საკუთარი ეტლები შეაგება და ბრძოლისთვის მოემზადა. შეტაკება მე-19 სვლაზე დაიწყო, ადამსმა იოლად დაჯაბნა ჯერ კიდევ გამოუცდელი ნაკამურა და პაიკით დაწინაურდა. შეტაკების შემდეგ ნახევრად დაცარიელებულ დაფაზე მოწინააღმდეგეები პაიკების გაყვანას შეუდგნენ. ინგლისელმა ნაკამურა რამდენიმე დამაბნეველი მანევრით გააბრუა, 66-ე სვლაზე თეთრი ხელმწიფე h1 კუთხეში მიიმწყვდია და დააშამათა.

ჰიკარუ ნაკამურა მაიკლ ადამსმა (მარჯვნივ) საჭადრაკო მახეში გააბა

რაც შეეხებათ მეფსონეებს, მათ კვლავაც ტოპალოვის ეიმედებათ და ფავორიტთა შორის ის ისევ პირველია სამმაგი კოეფიციენტით.

ლაზა გეგეჭკორი

ნაკურთხი ბურთი

REUTERS ფოტოქრონიკა

რომის პაპთან ფეხბურთის ბურთით ხლებული ფეხბურთელები მრავლად გვინახავს, ეს კი რაღაც ახალია, იოანე პავლე II-ს კალათბურთის ბურთი დაალოცვინეს.



REUTERS ფოტოქრონიკა

ოლიმპიური სურვილი

ანაჰაიმში შეკრებილან ამერიკელი ტანმოვარჯიშეები და ვინც უკეთ გაირჯება, ათენშიც იმათ წაიყვანენ. ეს გოგო 16 წლის კარლი პეტერსონია. მისი თვალებიდან ოლიმპიადის სურვილი იმზირება.

REUTERS ფოტოქრონიკა

REUTERS ფოტოქრონიკა

მხარდამხარ

ბელგრადში გახურებულა წყალბურთელთა მსოფლიო ლიგა. სერბ ალექსანდრ შაპიჩს კი ოსტატურად გადაუწვევია მხარზე ამერიკელი ჯეფ პაუერსი.

ხელიდან ხელში

ოლიმპიური ჩირაღდანი მოგზაურობას განაგრძობს და ხან ვის ხელში ხვდება, ხან ვისაში. მოცლედ, გარდამავალი დროშასავითაა. ლონდონში ჩირაღდანს ერთ ხანს ეოკ-ის პრეზიდენტი ჟაკ როგიც მიარბენინებდა, ლონდონში კი ცხენით გაასეირნეს.

REUTERS ფოტოქრონიკა

ფეხბურთი

შვედეთი

სუპერეტა. XII ტური

ფრისკა — გაის 2:3; ფრიოლუნდა — ბოდენსი 3:0; იოსტერსი — ასირისკა 0:2; კაფე ოპერა — გეფლე 0:2; ფალკენბერგი — ბრაგე 3:3. *ჰეკენი — ატვიდაბერგი, ბრომაპოიკარნა — ენჩიოპინგი და ვასტერასი — ნორჩიოპინგი დღეს გაიმართება*

აშშ

MLS. XIII ტური

დალასი — ვაშინგტონი 1:1; კოლამბუსი — კოლორადო 1:2; ნიუ ინგლენდი — ნიუ იორკი 2:1; სან ხოსე — კანზასი 1:1. *ჩიკაგო — ლოს ანჯელესი წუხელ გვიან დამთავრდა*

ისლანდია

პრემიერდივიზიონი VIII ტური

აკურეირი 3:2 რეიკიავიკი

2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი. კონკაკაფი

მექსიკა 8:0 დომინიკა

ნორვეგია

ტიპელიგა. XIII ტური

ბრანი — ლილესტრიომი 1:5; ფრედრიკსტადი — ვიკინგი 0:0; სოგნდალი — ტრომსიო 2:1; ჰამ კამი — ოდ გრენლანდი 2:4; სტაბეკი — ვოლერენგა 2:0; ბოდიო გლიმტი — მიოლდე 0:0. *ლინი — როსენბორგი დღეს გაიმართება*

I დივიზიონი. XIV ტური

ბრინი — სტრიომსგოდსეტი 0:0; ჰიონეფოსი — ჰაუგესუნდი 5:0; კონგსვინგერი — ალესუნდი 0:1; მოსი — ტრომსდალენი 1:3; რაუფოსი — ჰიოდი 2:3; სანდეფიორდი — პორს გრენლანდი 2:0; ვარდ ჰაუგესუნდი — მანდალი 2:1; სტარტი — სკეიდი 3:1

ირლანდია

პრემიერლიგა. XVIII ტური

ლონგფორდი 0:0 დროჰედა

იაპონია

ჯეი ლიგა. XV ტური

ნიიგატა — გამბა 1:4; სერეზო — კაშივა 1:5; იჩიჰარა — შიმიზუ 1:1; ივატა — ჰიროშიმა 4:2; ნაგოია — კობე 2:2; ვერდი — ოიტა 3:1; ურავა — ტოკიო 2:1; იოკოჰამა — კაშიმა 1:0

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით ერაძე, დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ლადო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, ელენე გელუტაშვილი, რუსუდან ერისთავი, ფატი ღვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, ზვიად მოსიაშვილი, თენგიზ ფოფხაძე, თამარ ქანქლაძე, ზურაბ წერეთელი, ირმა ჯიშკარიანი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge